

# ახალი განათლება

18-24.06.2020

№22 (896) განთავსებულია 1998 წლიდან

[www.akhaliganatleba.ge](http://www.akhaliganatleba.ge)



სული თქვენთან ერთად

# მნიშვნელოვანი სიტყვა განათლების რეფორმაში ყველაზე მძლავრი უღელტეხილი, როცა შიშვენილია კიდევ ახალი „მე“ გავაფორმოთ

✓ **კრიზისი – ერთადერთი გზა ტრანსფორმაციისთვის**

ადამიანს განვითარების მთელი ეტაპზე – მთელი სიცოცხლის განმავლობაში, 8 ძირითადი კრიზისი აქვს გადასალახი. რეალურად, კრიზისი რთული გასაგებელია, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა ტრანსფორმაციისთვის, რომელიც საკუთარი როლის ცვლილების შესაძლებლობას გვაძლევს. როცა ვამბობთ ვინმეზე, რომ საერთოდ არ შეცვლილა, ეს სულ არ არის დიდი კომპლიმენტი 8 ვინც არ იცვლება, ის მაიცვადამინც კარგ შეფასებას ვერ იმსახურებს. არ შეიძლება, რომ 10-ის, 20-ის ან 40 წლის ასაკში ვიყოთ ერთი და იგივე. ის კი არა, გუშინ რაც ვიყავით, ის აღარ ვართ დღეს. აქედან გამომდინარე, კრიზისი არის ხოლმე ყველაზე მძლავრი უღელტეხილი, როცა შეგვიძლია კიდევ ახალი „მე“ გავაფორმოთ.

✓ **8 ძირითადი კრიზისიდან 4 ბავშვობაში განსაზღვრულია**

მცირეწლოვან ბავშვობაში კრიზისები ცნობიერ დონეზე განცდილი და ნაკლებად არის ნათარგმნი ფიქრებზე და შეგრძობებზე. მოზარდობაში კი, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იღებს დრამატულ სახეს. ამიტომაც გვამახსოვრდება უფრო მეტად მოზარდული კრიზისი და თუ არ ჩაუვლრმავდით ხოლმე მის წინანდელს, შეიძლება კარგად ვერც კი გავიხსენოთ ბევრი რამ საერთოდაც, მხოლოდ სიღრმისეული ფსიქოლოგიის ძალიან ჩაღრმავებული სესიების შემთხვევაში შეგვიძლია ამოვიხიოთ ზედაპირზე.

მოზარდობის უმთავრესი კრიზისი იდენტობის მოპოვების როლის შექმნის კრიზისია, ჯგუფის კუთვნილების კრიზისი. ამ შემთხვევაში, როცა მოზარდმა არ იცის, რომელ ჯგუფს მიაკუთვნივს თავი ან რა აირჩიოს – შეჯახება უხდება მშობლებთან (სწორედ მისი არჩეული გზების გამო). უმთავრესი კრიზისი მაინც ის გახლავთ, თუკი მოზარდი არ აჯანყდა და მშობლებთან პრობლემა არ აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ ის ნორმალურად ვერ ვითარდება. 12 წლამდე ბავშვისთვის არსებობენ აბსოლუტური ავტორიტეტები მშობლების სახით და არა მარტო მშობლების სახით, მოსაწონი უფროსების სახითაც, მათ შორის, იმ მასწავლებლებს, რომლებიც მოიწონეს ბავშვებმა. ისინი უპირობო ავტორიტეტები ხდებიან. ასეთ შემთხვევაში, ძალიან მალაღია ამ უფროსი ადამიანების პასუხისმგებლობა – მნიშვნელოვანია, როგორ ექცევიან ბავშვებს, რამდენად სერიოზულნი არიან მათთან ურთიერთობისას.

➔ **ბავშვს, არც ერთ ეტაპზე, ზედმეტად არ უნდა მოუწილოს** ენა, ყველა მის შეკითხვას უნდა ვუპასუხოთ სერიოზულად, გულწრფელად და, რაც მთავარია, ტყუილის გარეშე, ან თუნდაც „გაშაყრების“ გარეშე იმიტომ, რომ შეიძლება ბავშვს არ ეყოს იუმორის გრძობა და ძალიან დიდხანს გაჰყვეს მცდარი წარმოდგენა არ არიან საკითხზე. მოზარდობაში კი უნდა დაინყოს ამ სიმბოლური ღმერთების/ავტორიტეტების მსხვერველა – კერპების ჩამოსხვრევა. და თუ მოზარდმა კერპების მსხვერველა და შეკითხვების დასმა არ დაინყო, ე.ი. რალაც წესრიგში არ არის.

სხვათა შორის, ფსიქოლოგები ერთ-ერთ ძალიან დიდ შეცდომად ასახელებენ არა უფრო მშობლობას (როცა მშობელმა საერთოდ არ იცის როგორ მოექცეს შვილს), არამედ ზედმეტად განათლებული მშობლის ქცევას, რომელიც მუდმივად ეცნობა ფსიქოლოგიურ ლიტერატურას, ცდილობს რალაც ისწავლოს იმისთვის, რომ ბავშვის აღზრდისას გამოიყენოს. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, აი, ამ წესებში მოქცევით, როდესაც მშობელი თავის ცოცხალ ინსტინქტებს, ცოცხალ შეგრძობებს თრგუნავს, ბავშვთან უფრო ცუდ რამეს ჩადის, ვიდრე აღზრდის დროს შევსებული უნებლიე შეცდომებით.

➔ **ამიტომ, მშობლის შეცდომაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ბავშვის აჯანყება და თუ მშობელი შეცდომას არ უშვებს, ბავშვს ნაკლები საფუძველი აქვს, აჯანყდეს და თუ ბავშვს ნაკლები საფუძველი აქვს, აჯანყდეს, მაშინ გამოდის, რომ არ შედგება ის ჯანსაღი პროცესი, როდესაც ბავშვი აღმოაჩენს, რომ მშობლები არ არიან იდეალური ადამიანები/ზეადამიანები, რომ ჩვენ ყველანი ჩვეულებრივები ვართ და რომ ჩვენთან კამათიც შეიძლება და დაპირისპირებაც, ზოგიერთი საქციელის დაწინააღმდეგება ან მოწონება.**

აი, ასეთ დროს მშობლების მთავარი შეცდომა არის ხოლმე ყურადღების გადატანა უმნიშვნელო საკითხებზე, მცირე უნესრიგობაზე. მაგალითად, ტანსაცმლის დაწინააღმდეგება, ბავშვების სხვისთვის შედარება (რაც მოზარდს ძალიან შეურაცხყოფს), ძალიან უმნიშვნელო რამის აკრძალვა და იმ მთავარი რისკის ვერ შეჩვენება, რაც ამ ასაკს ახლავს. ეს გახლავთ ნარკოტიკები, ნაადრევი სექსუალური გამოცდილებები, ნაადრევი ორსულობები კი – მშობლებს ამის არც გააზრება უნდათ და არც დანახვა და როცა ხედავენ, უკვე გვიანაა. რაც მთავარია, ამ ნაადრევი სექსუალური აქტივობით, ხშირად, ტრავმირებული არიან მამრობითი სქესის მოზარდები. თითქოს მშობლების ყურადღება უფრო მეტად გადატანილია გოგონების დაცვაზე, მიუხედავად იმისა, რომ აქაც ბევრ შეცდომას უშვებენ. მთავარი არ არის ჩვენ როგორ დავიცავთ მოზარდები, მთავარია, თვითონ მათ ვასწავლოთ საფრთხეებისგან თავის დაცვა. ხშირად ბიჭები, პირიქით, ნახალისებულნიც კი არიან ნაადრევი სექსობრივი კონტაქტისთვის და ეს თერაპიაში გამოდის ხოლმე, როგორც ტრავმირებული მოგონებები, რომელიც შემდეგ მთელ ცხოვრებაზე აისახება ხოლმე.

✓ **პროფესიის არჩევანი**

ჩვენი პროფესიის არჩევანი მოზარდობის ასაკში დგება, როცა ძალიან დიდია მშობლების გავლენა, მართალია, შედა-



**მშობელსა და შვილს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბება, ყველა დროსა და თაობაში, ურთულესი პროცესია. „უფროსებს ჩვენი არ უსმით“ – მოზარდობის ასაკში ბაჩანილი პროტესტი ხშირად საზოგადოებაში გაპიციხვასაც იმსახურებს, რადგან უფროსებს, უმეტეს შემთხვევაში, არ აქვთ სწორი პასუხი კითხვაზე: არის თუ არა აუცილებელი ესმოდეთ მოზარდებს? ან რა გავლენა აქვთ მშობლებს შვილის პიროვნულ ჩამოყალიბებაში? და რატომ არის მნიშვნელოვანი, პროფესიის არჩევნისას, მოზარდს მივცეთ**

რებით გვიანი მოზარდობის ასაკში, მაგრამ ჯერ კიდევ დაუსრულებელია ის მთავარი კრიზისი და პრობლემა, რაც მოზარდობას თან ახლავს.

მთავარი პრობლემა ის არის, რომ მშობელს ეჩვენება, თითქოს, ბავშვმა არ იცის თავისი შესაძლებლობების შესახებ და დარწმუნებულია იმაში, რომ ეს თვითონ უკეთ იცის, რა პროფესია მოუხდებოდა მის შვილს. ის ხშირად ასეთი ტიპის გამოცდილებასაც კი ეყრდნობა – მაგალითად, „ბავშვობაში ლაპარაკი ერთი წლის ასაკში დაიწყე, ამიტომ ფილოლოგი უნდა გამოიხეიდე“, ან მშობელს აქვს ოცნება, რომ მისი შვილი აუცილებლად ფეხბურთელი უნდა გამოვიდეს ან მოკრივე... ასეთ შემთხვევაში, მშობლებთან გამკლავება ძალიან ძნელია და მოზარდების ერთგვარი კაპიტულაცია ხდება, რადგან ძალიან ხშირად თვითონ კარგად ვერ ხვდებიან რა პროფესია უნდა და, სამწუხაროდ, არც ბევრ პროფესიაზე აქვთ წარმოდგენა, ნებდებიან. რადგან მოზარდმა არ იცის კარგად, რას ნიშნავს იყო არქეოლოგი, მეშახტე ან მფრინავი და ა.შ. ამიტომ, ძალიან სასარგებლო იქნებოდა, რომ პროფესიების შესახებ მეტი ინფორმაცია არსებობდეს მათთვის ხელმისაწვდომი, თუნდაც, ვიდეოების სახით, რაც აგრძნობინებდა და მიახვედრებდა მოზარდებს, რა შეიძლება აღმოჩნდეს მითთვის ნამდვილად საინტერესო და ბედნიერების მომტანი.

➔ **ამ ასაკში ყურადღება ძალიან ბევრ რამეზეა განაწილებული** – მოზარდს, სხვა რამესთან ერთად, თავისი ახალი შექმნილი ფიზიკური სხეულიც კი ანუხებს. როცა სარკეში იყურება, არ მოსწონს თავი, დისპარმონია აქვს საკუთარ მესთან იმიტომ, რომ ამ ადამიანს არ იცნობს! ძალიან დიდი ენერჯია ეხარჯება იმაზე, როგორ გახდეს საინტერესო მეგობრებისთვის, იმ ჯგუფისთვის, რომელსაც უნდა, რომ მიეკუთვნებოდეს, კონფორმისტულიც არის. არადა, ამ დროს, რამდენადაც მემამობეა მოზარდი ოჯახში, იმედინად კონფორმისტულია მეგობრების მიმართ, უჭირს არას თქმა იმ საქციელზეც კი, რომლის ჩადენა არ სურს. უარს არ ამბობს, რადგან ეშინია, არ დარჩეს იზოლირებული, მეგობრების/სოციალური გარეშე. ამ ასაკში მეგობრების შექმნაც, რა თქმა უნდა, უფრო რთულია, რადგან გართულებულია ურთიერთობები და აღარ არის საკმარისი მხოლოდ სათამაშო, როგორც ადრეულ ბავშვობაში კმაროდა უცნობი თანატოლის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად. ამ ასაკში ბევრი რამ ხდება სამტიციცებელი, ამის ფონზე ენერჯია სწავლასაც აკლდება, რის გამოც, სულ ეჩვენებათ მშობლებს, რომ მოზარდი გაზარდა, აღარ ინტერესებს, ცუდი მოსწავლე გახდა. სინამდვილეში ასე არ არის. უბრალოდ, მოზარს ყველაფერისთვის, ერთდროულად, აღარ ყოფნის ენერჯია, მით უმეტეს, როცა პირველი მძაფრი სიყვარული ვლინდება ხოლმე, რომელიც ასევე ნარკოტიკულ ფორმას ატარებს. ეს არის პერიოდი, როცა ერთგვარად საკუთარი ოცნებების გადატანა ხდება სხვაში და შემდეგ, თუ ამის უარყოფა მოხდა, მაქსიმალურად მტიციცებულად განიცდიან მოზარდები. მეტიც, დესტრუქციულია მოზარდი და მიდრეკილია დეპრესიისკენ, რაც სარისკო ქცევებში გამოიხატება ხოლმე, სიმორცხვის გადაძლევის გამო კი, პირიქით, ექსცენტრულ საქციელსაც ჩადიან. მოკლედ, ბევრი გასაჭირი ადგას ამ დროს მოზარდს და ასეთ დროს, ხშირად, დანებდებიან ხოლმე მშობლებს შემოთავაზებულ პროფესიას – აი, მენცერს და ახალი მეცნიერების კარგი იქნებოდა და ასე მიყვებიან ინერციას.

✓ **მთავარია, ვიცოდეთ ერთი რამ**

არასდროს არაფერი არ არის გვიან, ყოველთვის შეგვიძლია გამოვცვალოთ ჩვენი პროფესია, თუკი რალაც ეტაპზე მივხვდით, რომ ეს ის არ ყოფილა, რაც ჩვენ გვინდოდა რომ აკვრინა – მას არ მოაქვს ჩვენთვის სიამოვნება. მშობლებისთვის

**თავისუფლება? რა შეცდომებს უშვებენ მშობლები? – ამ მნიშვნელოვან თემაზე საუბრობს ფსიქოლოგი ნათია ფანჯიქიძე და მშობლებს იმ კრიზისებს ასხიანებს, ადამიანებს მთელი ცხოვრების განმავლობაში რომ გვაქვს გადასალახი და მათგან ყველაზე რთულად და სასიფათოდ გასაგებელი სწორედ მოზარდობის ასაკის კრიზისია – „ყველაზე მძლავრი უღელტეხილი, როცა შიშვენილია კიდევ ახალი „მე“ გავაფორმოთ, როცა ვინცაღმთ ფიქრს იმაზე, როგორ ვიძვეთ დედად ადამიანებად?“**

მოლოდინების გაცრუებით გამოწვეული დანაშაულის შეგრძნება ფსიქიკის ლაბილურობის გამო წარმოიშობა. მშობლებთან ყოველი ჩხუბის შემდეგ, მოზარდს სინდისის ქენჯნა აქვს, მერე იპყრობს ბრაზი, რის გამოც, სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, მოზარდებს სუიციდური ფიქრები აქვთ. მოზარდული დეპრესიის გამო სუიციდური ფიქრი უფრო იშვიათია, ვიდრე გაბრაზებული მოზარდის ფიქრები სუიციდზე. თუმცა, ის ხშირად იმასაც წარმოიხსახავს, როგორ დასაჯა დედა, რომელიც უსამართლოდ მოექცა ან მამა, რომელმაც ვერ გაუგო. ასეთ მიმდებარე განცდებში მყოფი არასრულწლოვანი მუდმივად განიცდის ბრალულობის გრძნობას მშობლების წინაშე და, აქედან გამომდინარე, გარკვეულ კრიტიკულ ცხოვრებისეულ მომენტში, საკმაოდ დამყოლიც კი ხდება ხოლმე მშობლის მიმართ და იზიარებს მის შეთავაზებულ პროფესიას.

➔ **მშობლებს ვურჩევ, ბევრი ელაპარაკეთ შვილებს სხვადასხვა პროფესიაზე და თუ დარწმუნდით იმაში, რომ თავისი სურვილით მოინდომებს პროფესიის შეცვლას, ხელი არ შეუშალოთ, მთავარია, სჯეროდეს, რომ სწორად აირჩია პროფესია – რისი კეთებაც სურს. რაც მთავარია, დარწმუნდეს, რაც აირჩია, ეს არ არის დედის ან მამის ნაკარნახევი, ეს მისი ოცნებების ასრულება.**

✓ **დაკარგული დრო არ არსებობს**

უნდა ვიცოდეთ, რომ შვილებს სტუდენტობაშივე უნებთ უკვე ადრეული ზრდასრულობის კრიზისი, მას შემდეგ, რაც გაიზარდებენ, რომ „რაც ვისწავლე, არ მომწონს, თურმე, ეს სულაც არ მდომებია, ამდენი დრო დავკარკე...“ თავისთავად, ის, რაც არ გვიყვარს, ბუნებრივია, ბოლომდე ჩვენს ყურადღებას არ იმსახურებს ხოლმე, ვერ ხდება ადამიანის ჩართულობა. ამიტომ ნუხან ადამიანები, რომ დრო ტყუილად გაფლანგეს, რომ ამ ასაკში ვილაყამ რალაცას მიაღწია, მე კიდევ ისიც არ ვიცი ვინ ვარ. აი, ასეთ შემთხვევაშიც კი, მთავარია, შევიარაღდეთ ცოდნით – არასდროს არაფერი გვიან არ არის და რომ დაკარგული არ არსებობს იმიტომ, რომ ყოველი წელი, თუნდაც ასეთ ჭიდილში გატარებული, რომელსაც თავს მიანდობთ, შესაძლოა, ყველაზე ნაყოფიერიც კი აღმოჩნდეს არა მარტო გამოცდილების მიღების კუთხით, არამედ იმითაც, რომ მოპოვოთ თავისუფლება. თავისუფლების მოპოვებისთვის ყოველთვის არ მოვა ხოლმე ჩვენი „მხსნელი კრიზისები“, რომლის გახსენება შემდეგ აღარ გვინდა, სინამდვილეში კი, მათი წყალობით გადავიფაროთ ხოლმე ახალ ეტაპზე, იმიტომ, რომ სწორედ ამ დროს გვაქვს ის მოზღვავებული ენერჯია, როდესაც შეგვიძლია ჩვენს ცხოვრებაში შევცვალოთ რამე. შემდეგ დგება სწორედ ის თანაბარი პერიოდი, როდესაც დამორჩილებული მიყვებით გზას, რომელიც ერთხელ დაიწიეთ ან აგვარჩევინეს. სწორედ მერე იკარგება ძალიან დიდი დრო, თუმცა, დაკარგული დრო მაინც არ არსებობს. ყველაფერი, რაც ხდება, მაინც ჩვენს სასარგებლოდ ხდება, რასაც ვისწავლით, ისიც არასდროს არ აღმოჩნდება ხოლმე გვიანი, ამდენად, ამაზეც არასდროს არ უნდა დიდობთ, უკან აღარ მოიხდით.

✓ **კრიზისები მოზარდობის ასაკში და მშობლების მთავარი შეცდომები**

მშობლების ერთი მთავარი შეცდომა მოზარდებთან ურთიერთობაში არის ის, რომ უჭირთ გაცნობიერება, რომ შეილი პატარა აღარ არის. მოზარდებთანაც ზუსტად ისეთივე დამოკიდებულებით აგრძელებენ ურთიერთობას, როგორც მცირეწლოვან ბავშვთან, რომელიც ემოციონალიზებულია დედას – იცვამდა მის შერჩეულ ტანსაცმელს ან მიირთმევდა მის შერჩეულ საკვებს. მოკლედ, მეტ-ნაკლებად, იმ რეჟიმში იყო, რასაც დედა და მამა სთავაზობდნენ. როცა მშობელი ხედავს, რომ



საუბარი ნათია ფანჯიქიძესთან

შვილი აღარ უჯერებს, აქ იწყება დიდი წინააღმდეგობა შვილის მიმართ... უჩნდება საფრთხის შეგრძნება, რომ შვილი გაურბის, რომ ის თავისუფლებას მოიპოვებს. იწყებს შფოთვისა და ყოველ წამს თავისი შიშის ჩაღვრას შვილში.

სწორედ აქ დგება მეორე ყველაზე დიდი შეცდომა: უარესის მოლოდინის, მუდმივად ცუდის მოლოდინის დრო. მაგალითად, „არ გადახვიდე გადასასვლელზე, მანქანა დაეჯახება“; „იმას არ ენდო, დამიჯერე, მე ეს გამოცდილი მაქვს“. საკუთარი გამოცდილებების თავს მოხვევა და მუდმივად შვილის დატვირთვა ბევრი შიშით ძალიან ცუდად აისახება მოზარდზე. ისე ჩანს, თითქოს მოზარდი ძალიან ექსცენტრულია, ყოჩაღი და მეგობრები, მაგრამ სინამდვილეში მასზე შეშინებული არსება, ალბათ, არ არსებობს. მას ყველაზე მეტად აინტერესებს საზოგადოების აზრიც, განსაკუთრებით იმ საზოგადოების, რომელსაც მიაკუთვნებს თავს. ასევე, მშობლების აზრი, მართალია, ამას არ იმჩნევს, მაგრამ ძალიან აინტერესებს. წარმოიდგინეთ, მთელი ეს შფოთვა ერთბაშად დაატყდება ხოლმე ნიაღვარივით თავს. ძალიან სახიფათოა, ამ დროს, მისი მშობრა ადამიანად ქცევა, გადატყვევა და ისედაც დაბალი თვითშეფასების დადაბლება.

ხშირად კი, ამ პერიოდში, მათი თვითშეფასება საერთოდ არ არსებობს იმიტომ, რომ იდენტობის გაფორმების პროცესში მოზარდმა არ იცის, ვინ არის, სინამდვილეში რა მოსწონს, არ იცის ვის მიბაძოს. ძალიან ხშირად ის ბაძავს იმ ადამიანის მტყვევლებს და ჩაცმულობას, ვინც იმ წუთას, ეპიზოდურად აღმოჩნდება ხოლმე მისთვის მოსაწონი. სანამ ის გააფორმებს თავის სტილს თუ როლს, რა როლითაც უნდა რომ წარდგას საზოგადოების წინაშე, სწორედ ამ პერიოდში, თვითშეფასებაზე კიდევ უფრო მეტი დარტყმის მიყენება და გაუბედობის შექმნა მისთვის დიდი პრობლემაა.

მესამე შეცდომა, ისევე და ისევე, გარეგნული მხარის, თვითგამოხატვის დასწრებაა, რადგან ეს გარეგნული ექსტრავაგანტულობა თუ ექსპერიმენტი – როგორ ჩაიცვას მოზარდმა, როგორ მოიღოს თავისი გარეგნობა, მისი გარეგნული იდენტობის გაფორმების ერთ-ერთი მთავარი ძლიერი ნაბიჯებია და საკმაოდ მტკივნეულიც. საქმე იმაშია, რომ ჩვენ დიდობაშიც გავგვყავთ ხოლმე დისპარმონია საკუთარ თავთან. საკუთარ თავთან მორგება, ექსპერიმენტები, როგორმე მოვიწონოთ და შევიყვაროთ ჩვენი თავი ამ ასაკში, უცებ მშობლებთან ძალიან დიდ წინააღმდეგობას ქმნის – „ასე არ გახვიდე, რას იტყვის ხალხი, ეს როგორ შეიძლება, თმები ამ ფერად არ შეიღებო“ და ა.შ. ეს წინააღმდეგობა არის სწორედ მშობლებისგან უდღესი შეცდომა. აუცილებელია, მოზარდმა ეს ექსპერიმენტები გატაროს, ექვობა, მოიგოს... რადგან თუ უფრო გაძლიერდა პროტესტიც და დეპრესიაც, მაშინ ის იწყებს, განსაკუთრებით სხეულის, უფრო მეტად მოხატვას – ტატუს თუ პირსინგის კეთებას, რასაც მაინცდამაინც მოდის გამო სულაც არ აკეთებს, ეს ხშირად ფიზიკურ მოთხოვნილებამდე

აყვანილი და ამით საკუთარ სხეულს ერთგვარ ტკივილსაც აყენებს, ფარავს კანს, რომლის ქვეშაც ცხოვრობს.

მეოთხე შეცდომა მშობლებისგან, აღზრდისას, მათი ზედმეტი განათლებულობა და რჩევებით ხელმძღვანელობაა – იმ წინგში ამოვიკითხე, რომ თურმე ეს ასე უნდა ვუპასუხო, ეს ასე არ უნდა გავაკეთო, ახლა აუცილებლად უნდა მოვითმინო და ა.შ. როგორც გითხარით, უმეცდომო მშობელი ისეთივე პრობლემაა, როგორც მშობელი ძალიან ბევრი შეცდომით. თუ დაპირისპირება არ შედგა, მაშინ მოზარდს არ შეუძლია ჰყავდეს „უსაფრთხო მტერი“ მშობლის სახით, რომელსაც ვერ დაკარგავს – ასე რომ ვიქცევოდეთ, მაგალითად, მეგობრებთან, მაშინ მეგობრები აღარ გვეყოლებიან. აუცილებელია უსაფრთხო მტერთან ბრძოლა და ამ ბრძოლაშიც გამარჯვება და დამარცხება თანაბრად მნიშვნელოვანია. მეტიც, აუცილებელია, მთავარია, რომ მშობლებმა გაიაზრონ ჯანსაღად – შვილმა ხან უნდა გაიტანოს თავისი, ხან უნდა დამარცხდეს, ხან დარჩეს სტუმრად ღამის თორმეტ საათამდე და ზოგჯერ ამის უფლება არ უნდა მისცენ. მოზარდი ამ ყველაფერს იყენებს თავისუფლების მოპოვებისთვის, რომელიც შემდეგ თავის ცხოვრებაში სხვადასხვა სახით გადააქვს, როგორც ექსპორტი და თუ ეს ბრძოლა არ შედგა – მშობელმა არანაირი საბაბი არ გააჩინა ან კონფორმაციისა და დაჯახებების, საკმაოდ ცუდად აირეკლება შემდეგ მოზარდის ხასიათზე.

ამიტომ ჩნდება ზედმეტად განსწავლული მშობლების პრობლემა – დაპირისპირების ნაკლები უნარის მქონე შვილები. არადა, ჭიდაობა, კარების ჯახა-ჯუხი, პატარა დილემების მართვა მშობელსა და შვილს შორის, უბრალოდ, აუცილებელია. სასურველია, მშობელმა ყოველთვის გამოხატოს რეალური შეგრძნებები, რის გამოც შვილი იწყებს კამათს, რა თქმა უნდა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ კონფლიქტი გამწვავდეს და რაღაც განსაკუთრებულ ტრაგედიამდე მივიდეს.

მეხუთე და, შეიძლება ითქვას, მთავარი პრობლემა: მშობელი სწორედ იქ დახუჭავს ხოლმე თვალებს, რაც არ უნდა გამოეპაროს! სიკვდილთან თამაში, გამბედაობის გამოვლენა მოზარდობის ასაკში, ფაქტობრივად, უმეტეს მოზარდში ჩნდება, როგორც მოთხოვნილება. მაგალითად, რომანტიკული სიყვარულის ფანტაზიები, „რომეო და ჯულიეტას“ სცენარი – რა მშვენიერია მოწონებისთვის სიკვდილი, მათში სიკვდილის გარომანტიულებას იწყებს ან უბიძგებს სარისკო საქციელის ჩადენისკენ. სამწუხაროდ, ამ სარისკო საქციელში, ყველაზე ხშირად, მაინც ალკოჰოლის და მავნე ნივთიერებების მოხმარებაა. აი, ამ შემთხვევაში კი, მშობელს ნამდვილად მართებს ყურადღება, არა სიმკაცრით, არამედ სწორი განათლებით, რადგან ეს არის ასაკი, როდესაც სამედიცინო ინფორმაციის მიწოდებას არანაირი აზრი არ აქვს. ეს მოზარდებისთვის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. მათთვის მითებდად გავრცელებული თუ თანატოლების მიერ მიწოდებული ინფორმა-

ცია უფრო სარწმუნო ხდება. ამიტომ, ამ დროს, შვილთან დიალოგის სწორი ფორმის მონახვა უმნიშვნელოვანესია. ყველაზე კარგად კი, პროექციული მეთოდი მუშაობს – როდესაც თქვენ, პირისპირ, ამ პრობლემაზე კი არ ელაპარაკებით და უკრძალავთ, არამედ უყვებით სხვის ამბავს ან მის წინაშე განიხილება რომელიმე პრობლემა, რომელიც მისთვის შეიძლება საინტერესო აღმოჩნდეს, ბევრი ისწავლოს აქედან და თავისთვის სასარგებლოც წამოიღოს.

მეექვსე პრობლემა, უმეტეს შემთხვევაში, მშობლებისთვის რთული დილემა არის ხოლმე – რა სჯობს ამ ასაკში, შვილი ძალიან დატვირთონ თუ ნაკლებად, ანუ დისციპლინა უნდა იყოს მეტი თუ ცოტა. ამ შემთხვევაში როგორც მცირეწლოვანი ბავშვებისთვის, ისე მოზარდებშიც აუცილებელია გავაზროთ, რომ თავისუფალი დრო ეს გახლავთ ყველაზე მნიშვნელოვანი დრო ადამიანის განვითარებისთვის.

➔ მცირეწლოვანი ბავშვის მთლიანად დისციპლინით და შერჩეული საგნებით დატვირთვა არ შეიძლება, რადგან სწორედ თავისუფალ თამაშში, როცა ის წარმოისახავს სამყაროს, უფროა დასრულებული ასოციაციური აზროვნება, სწორედ მაშინ მუშაობს ნეირონები ყველაზე მეტად. აუცილებლად უნდა მივცეთ ბავშვს ამის საშუალება.

➔ მოზარდობის ასაკში უკვე აბსტრაქტული აზროვნება ვითარდება, ანუ ღირებულებითი აზროვნება. ამიტომ, ამ აზროვნების ჩამოყალიბებისთვის, საკუთარი თავის უკეთესად წარმოდგენისთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავისუფალ დროს და დასვენების დროს, როცა მოზარდს საშუალება აქვს, არაფერი აკეთოს. მშობელი დიდ შეცდომას უშვებს, როცა თავისუფალ დროს ბავშვს თავზე დაადგება და აიძულებს, იკითხოს წიგნი ან არდადეგების დროს აიძულებს, იმეცადინოს. დასვენების დრო/არდადეგები ბავშვის დასასვენებლად არის განკუთვნილი, ამიტომ, რაც მას ეკუთვნის, გამოიყენოს ისე, როგორც მას სურს.

მშობლები, ანუ უფროსები, პირველ რიგში, ხომ იმისთვის არსებობენ, რომ მეტი ესმოდე თავიანთი შვილების. თავისთავად, იმავეს ვერ მოვთხოვთ შვილებს – მეტი ესმოდე მშობლების, თუმცა, გარკვეული ნაბიჯები მათგანაც, ცოტა მოგვიანებით, შეიძლება წამოვიდეს მშობლების საპასუხოდ. მაგრამ, გვახსოვდეს, რომ აქ ყოველთვის პირადი მაგალითია უპირველესი. ხშირად ყოფილა შემთხვევა, როცა, თუნდაც, ჩემი მეგობრებისთვის, რომლებიც თავიანთ შვილებს მუდმივად შენიშვნას აძლევენ, მითქვამს: აბა, ცუდად და შენ გაჩუმდი... და ეს ისეთი ძნელია ხოლმე, ძნელია, რომ ჩვენ გაჩუმდეთ... ამიტომ, პირადი მაგალითია მთავარი, ჯერ ჩვენ უნდა ვისწავლოთ ის, რაც გვინდა, რომ ვასწავლოთ მათ.

მომზადდა ლალი ჯალაქიძემ

მწვავე თემა

აქვთ თუ არა სკოლებს სანიტარული განვითარების გეგმა

ლალი თვალაზარი

დისტანციურ რეჟიმში მიმდინარე სასწავლო წელი დასასრულს უახლოვდება და უფრო და უფრო აქტიულოდ ხდება შეკითხვა – განახლებდა თუ არა ახალი სასწავლო წლიდან, სექტემბრიდან, სწავლების ჩვეულები რეჟიმი? უპირველეს ყოვლისა, ეს ეპიდემიოლოგიურ ვითარებაზე და მოკიდებული, რომელიც იმ დროისთვის არავინ იცის როგორი იქნება. არის მეორე ტალღის მოლოდინიც. ამ ვითარებაში, ექიმების რეკომენდაციებს შორის, უპირველესია სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობები სკოლებში, უნივერსიტეტებსა თუ საბავშვო ბაღებში, ამ მხრივ კი, არაერთი კვლევის თანახმად, სასწავლო დაწესებულებებში, ჯერ კიდევ, ბევრი პრობლემაა.

„სველი წერტილები ხშირად ანტისანიტარულ პირობებში ფუნქციონირებს, დროულად არ გააქვთ ნარჩენები, საპირფარეოსო ჯიხურებს არ ასუფთავებენ და რეცხავენ, მოძველებულია ტუალეტების ინფრასტრუქტურა, რიგ სკოლებში საპირფარეოსო ჯიხურებს არ აქვს კარ-ფანჯარა, ავარიულია და არის ჩამოშლის საფრთხე. მსგავსი პრობლემების გამო, სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები თავს არიდებენ სკოლის საპირფარეოებით სარგებლობას“ – ეს ამონარიდია სახალხო დამცველის ანგარიშიდან, შეისწავლეს 6 რეგიონის 108 საჯარო სკოლა როგორც სოფლებში, ასევე ქალაქებში. მონიტორინგის შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, სკოლის სანიტარული ობიექტები მოქმედი, სრულად ტექნიკურად გამართული და სუფთა, 108 საჯარო სკოლიდან, მხოლოდ 18 საჯარო სკოლაა (16.7%). ნაკლებ გვხვდება ხელსაბანი საპირფარეო, ქალაქი, ხელსაწმენდი, ხელსაბანი ონკანი და ა.შ.

ომბუდსმენი ამბობს, რომ „სკოლის დამლაგებლებს ტექნიკური გამოყენების წყლით მობარგება რამდენიმე კილომეტრით დაშორებული ადგილობრივი მოსახლის ეზოდან ან საერთო წყალმომარაგების ობიექტიდან უნევი. მსგავსი პირობებში მოსწავლეებს არ აქვთ შე-

საძლებლობა მიიღონ საკმარისი ოდენობის სასმელი წყალი, დაიბანონ ხელი და ა.შ.“

გამოკითხულ თანამშრომელთა განცხადებით, სველი წერტილები სკოლების უმრავლესობაში ყოველდღიურად სუფთავდება (98 სკოლა – 90.7%); საკლასო ოთახებს შემონახული სკოლების 78.7%-ში (85 სკოლა) დამლაგებლები ალაგებენ – ასუფთავებენ. თუმცა სკოლების ვიზუალურმა დათვალიერებამ ასევე გამოავლინა, რომ ჯგუფების, კეების ბლოკის, სამედიცინო კაბინეტის, ბავშვთა განთავსების სხვა უჯრედების დალაგება/დასუფთავების შესახებ რაიმე სახის აღწერა/აღრიცხვა თითქმის არ მიმდინარეობს (95 სკოლა – 88%). გარდა ამისა, სკოლის შენობის თანამშრომლებს არ აქვთ სათანადო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა წესითა და ჯერადობით უნდა სუფთავდებოდეს სასკოლო ნივთები, საკლასო ოთახები, საპირფარეოები და სკოლის სხვა ტერიტორია, ან ტარდებოდაც ე.წ. „დეზინფექცია“.

სოფლად მდებარე და მცირეკონტინგენტის სკოლებში, ვიზუალური დათვალიერების შედეგად, გამოიკვეთა, რომ შემონახული სკოლების უმეტესობაში არ არის ხელმისაწვდომი: ბუფეტი (74.1%); სამედიცინო კაბინეტი (67.6); ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემა სკოლის შენობაში (63.9%); ცენტრალური წყალგაყვანილობის სისტემა სკოლის ეზოში (54.6%). განსაკუთრებით მწვავედ დგას სკოლის ბუფეტების არარსებობის პრობლემა, რის გამოც, მოსწავლეები სასკოლო დროს ხშირად სკოლასთან ახლომდებარე მაღაზიებში ყიდულობენ საკვებს, რომლის უვნებლობაც არ კონტროლდება.

სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონესრვიება სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყებების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა იყოს. სახალხო დამცველი აღნიშნავს, რომ ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სათანადო პირობებზე ხელმისაწვდომობა კანონით დაცული უფლებაა. გავროს ბავშვის უფლებების კომიტეტის თა-

ნახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესები მის ფიზიკურ, ემოციურ, სოციალურ და საგანმანათლებლო საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს; ხოლო უვნებელი სასმელი წყალი, ისევე როგორც სანიტარულ-ჰიგიენური პირობების მონესრვიება, არსებითია თანამშრომლისა და ჯანმრთელობის უფლებათა რეალიზებისთვის და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) შეფასებით, დაბინძურებული წყლის მიღება აფერხებს ბავშვის ფსიქოფიზიკურ განვითარებას.

სანიტარული (WASH) შეფასება კახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – „წყალი სიღარიბის აღმოსაფხვრელად“ ფარგლებში, რომელსაც კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციითა ქსელი (CENN) ახორციელებს ორ ორგანიზაციასთან ერთად – „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ და „ქალი და სამყარო“.

შეფასების ძირითად მიგნებებში ვკითხულობთ, რომ WASH-ის შეფასების ყველა მნიშვნელოვანი პრობლემა სკოლების ტუალეტებში არსებულ მდგომარეობას უკავშირდება. შემთხვევითა აბსოლუტურ უმეტესობაში ტუალეტების სანიტარული მდგომარეობა სრულიად არ პასუხობს ნაყენებულ მოთხოვნებს: უმეტეს შემთხვევებში ტუალეტები არ არის მოპირკეთებული სათანადოდ დასასუფთავებლად. ტუალეტების უმრავლესობაში არ ტარდება დეზინფექცია. ბევრგან დაფიქსირდა მძიმე ანტისანიტარია. ამ მხრივ განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა აღინიშნა ეთნიკური უმცირესობით დასახლებული სოფლების სკოლებში.

შეფასებული სკოლების ტუალეტებთან უმეტესად არ არის ხელის დაბანის შესაძლებლობა, მაგრამ მათი არსებობის შემთხვევაშიც, წყლის უზუნტეტი ტუალეტებისაგან საკმაოდ დაშორებულია, ძირითადად, წყლის დასაღვავად გამოიყენება და არა ხელის დასაბანად. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ხელსაბანებთან არ არის საპირფარეო (მყარი ან

თხევადი). აღსანიშნავია, რომ სკოლის ტუალეტებით ხშირად სარგებლობენ არა მარტო მოსწავლეები და პედაგოგები, არამედ სოფლის მოსახლეობაც, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ბევრი სკოლის ტერიტორია არ არის სათანადოდ შემოღობილი.

სკოლებში არ არსებობს სპეციალური სასწავლო პროგრამები ჰიგიენის საკითხების სწავლების მიზნით. ზოგადად, ჰიგიენა ისევე, როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესთან დაკავშირებული სხვა საკითხები, ნაკლებად პრიორიტეტულად მიიჩნევა სკოლების უმეტესობაში, რასაც ადასტურებს როგორც სკოლების ხელმძღვანელობასთან ჩატარებული ინტერვიუები, ისე შენობის კედლებზე გამოფენილი მასალები თუ დირექტორის მიერ წარმოდგენილი სკოლების სტრატეგიული განვითარების გეგმები. ხშირ შემთხვევებში, გეგმებში ერთი წინადადებითაც კი არ არის ნახსენები წყლისა და სანიტარიის მხრივ არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის პოტენციური გზები. გარდა ამისა, პედაგოგებს არ გაუფლიათ სპეციალური გადამზადება/ტრენინგის ჰიგიენის საკითხებში. სკოლებში ერთეულ შემთხვევებში თუ აღმოჩნდა რაიმე ბეჭდური სანიტარული მასალა (ლიფლეტი, ბუკლეტი, ბროშურა) აღნიშნულ თემაზე. სასურველია, სანიტარული მასალა, ქართულის გარდა, დაიბეჭდოს ეთნიკური უმცირესობების ენებზე.

გასულ წლებში ჩატარებული კიდევ ბევრი კვლევა და შეფასება ადასტურებს სასწავლო დაწესებულებებში სათანადო სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არარსებობას. კორონავირუსთან დაკავშირებულმა ვითარებამ კი სწორედ ამ პირობების აუცილებლობა დაგვანახა. შეძლებენ თუ არა სკოლები, სასწავლო წლის სრულფასოვნად დასაწყებად, სათანადო გარემოს უზრუნველყოფას სექტემბერში ვნახავთ. იმედია, განათლების სამინისტროს არც საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომი დრო დაუხარჯავს უქმად და სასწავლო დაწესებულებებში, ამ მიმართულებით, მუშაობა უკვე დაწყებული აქვს.



ზოგადი განათლება

# ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებს, კანდიდების პირობებში, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო, სტატუსი არ შეუჩერდებათ

გვესაუბრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი დავით გურბანიძე

✓ უმაღლესი სასწავლებლები, კორონავირუსის პანდემიის პირობებში, გვირგვინის წინაშე აღმოჩნდნენ. ჩასატარებელი ფინალური გამოცდები, დამამთავრებელი კურსისთვის კი – საბაზისური თუ საბაკალავრო ნაშრომების დაცვა. როგორ აპირებთ დისტანციურად შუამდგომლობა თუ საბოლოო გამოცდების ჩატარებას ან თუნდაც შეფასების განხორციელებას?

➔ გეტანხმებით, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები სერიოზული გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. პანდემიით შექმნილი ვითარებისთვის არათუ მსოფლიოს რომელიმე უნივერსიტეტი, სახელმწიფოებიც კი არ იყვნენ მზად, რადგან ეს მოულოდნელი მოვლენა აღმოჩნდა მსოფლიოსთვის. ის ნაბიჯები, რაც ჩვენი ქვეყნის მთავრობამ გადადგა, კარგად ორგანიზებული და დროული იყო. პარალელურად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, უშუალოდ მინისტრის, ბატონ მიხეილ ჩხენკელის ორგანიზებით, უმოკლეს პერიოდში, შესაძლებელი გახდა, სწავლების სისტემა როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე უმაღლეს სასწავლებლებში ელექტრონულ ფორმატზე ეფექტიანად გადასულიყო. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო პანდემიის პირობებში და შეიძლება ითქვას, რომ უნივერსიტეტებმა, მათ შორის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტმა, წარმატებით გადაარტყათ თავი. სწორედ ამის შედეგია ის ფაქტიც, რომ ტექნიკური უნივერსიტეტში, ონლაინ რეჟიმში, ტექნიკურად გამართულად ჩავატარეთ შუასემესტრული გამოცდები. საგამოცდო პროცესი 23 მაისს დასრულდა და მასში მონაწილეობის მიღება აქტიური სტატუსის მქონე უკლებლივ ყველა სტუდენტს შეეძლო. მათი რაოდენობა კი ტექნიკური უნივერსიტეტში 23 000-მდეა.

ტექნიკური უნივერსიტეტისთვის შუასემესტრული საგამოცდო პროცესის დისტანციურად ჩატარება ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა ფინალური გამოცდებისთვის. გარდა ამისა, ასევე ონლაინ და ტექნიკურად შეუფერხებლად წარიმართა დოქტორანტთა წინასწარი დაცვის პროცესი. უკვე შეგვიძლია თამამად ვივარაუდოთ, რომ მოვლენების განვითარების შესაბამისად, დისტანციურ რეჟიმში, წარმატებით შევძლებთ როგორც ფინალური გამოცდების, ასევე საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების დაცვის წარმართვას. რაც მთავარია, სასწავ-

ლო კურსებში სტუდენტების შეფასების სისტემა კარგად მუშაობს. ეს ახლა იოლად სათქმელია, მაგრამ ელექტრონული სწავლების მოქნილი და გამართული სისტემის შესაქმნელად ჩვენ მასშტაბური სამუშაოები განვახორციელეთ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, საუნივერსიტეტო ელექტრონული პლატფორმა უმოკლეს დროში ავამოქმედეთ – ტექნიკური უნივერსიტეტში დისტანციური სწავლის პროცესი 16 მარტიდან დაიწყო.

მას შემდეგ, რაც დისტანციურ სწავლებაზე გადავედით, დიდი დატვირთვით მუშაობს ტექნიკური უნივერსიტეტის ფეისბუქის გვერდი. ინტერაქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს სტუდენტებთან ურთიერთობა, პასუხს ვცემთ მათ შეკითხვებს. ასევე, უნივერსიტეტის ელექტრონული კომპონენტით სწავლების პლატფორმაზე, ტექნიკურ და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად, გარკვეული პერიოდულობით, მიმდინარეობს ონლაინ კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტებისათვის.

✓ შევალდებულები მოხსნის იმედი ფაქტის შემდეგ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება ექვიათ არა დისტანციურად, არამედ საბოლოოდ სივრცეებში მიიღოს სტუდენტები. ხართ თუ არა მზად, რომ დააკმაყოფილოთ სამინისტროს რეკომენდაციები და, განაგრძოთ პალატივებისა და საფარული საფარული, სტუდენტებისა და აკადემიკოსების უსაფრთხო გარემო შექმნათ?

➔ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში გვაქვს სრული მზაობა იმისათვის, რომ შეზღუდვების მოხსნის შემდეგ სასწავლო პროცესი ჩვეულ რეჟიმში დავაბრუნოთ. ცხადია, ამაში იგულისხმება, რომ ტექნიკური უნივერსიტეტი დააკმაყოფილებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ყველა რეკომენდაციას, რითაც შექმნის უსაფრთხო გარემოს სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ნებისმიერ საუნივერსიტეტო სივრცეში, სადაც წარიმართება სასწავლო აქტივობები. ეს საპასუხისმგებლო გამოწვევაა და ჩვენ ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ.

✓ განათლების ანტიკრიზისული გეგმის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიეცათ რეკომენდაცია სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის საშუალებათა პოლიტიკისთან დაკავშირებით – უნივერსიტეტებში სწავლის გადასახადი გადავაღებოთ ან შე-



თავაზობა გადახდის მოქმედი ინდივიდუალური გარანტიის თქვანი უნივერსიტეტი რას სთავაზობს სტუდენტებს?

➔ სამწუხაროდ, პანდემიის პერიოდში ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები შეექმნათ როგორც ცალკეულ ოჯახებს, ასევე ორგანიზაციებსა და ბიზნესს. გამოწვევის არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე დიდი უნივერსიტეტი არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ კავკასიის რეგიონში. როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ 23 000-მდე აქტიური სტუდენტი გვყავს და შექმნილი რთული მდგომარეობა მათ უმრავლესობაზე ნეგატიურად აისახა – პანდემიის პირობებში, ბევრმა სტუდენტმა დაკარგა სამუშაო, უმუშევრები დარჩნენ მათი ოჯახის წევრებიც. მეორე მხრივ, უნივერსიტეტსაც რთული მდგომარეობა შეექმნა იმის გამო, რომ სტუდენტი ვერ ფარავს ან დროულად ვერ ახერხებს სწავლის საფასურის დაფარვას.

ფუქრობთ, შეღავათების განეცხადებით, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღეთ, რაც ტექნიკური უნივერსიტეტის ყველა სტუდენტზე ვრცელდება. პირველ რიგში, ავამოქმედეთ ინდივიდუალური საგანმანათლებლო გრაფიკი, რაც ნებისმიერ სტუდენტს, რომელიც, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ ერთვება დისტანციური სწავლების პროცესში, შესაძლებლობას მისცემს, სასწავლო კურსები ალაღვიანოს და შესაბამისი შეფასება მიიღოს; მეორე, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი სტუდენტებისთვის – სწავლის

საფასურის გადაუხდელობის მიზეზით, პანდემიის პირობებში, არც ერთ მათგანს არ უჩერდება სტუდენტის სტატუსი; მესამე და არანაკლებ მნიშვნელოვანი – ტექნიკური უნივერსიტეტის ნებისმიერი სტუდენტისთვის ხდება სწავლის საფასურის განწილვა და მათ თანხის დაფარვა რამდენიმე თვის მანძილზე შეუძლიათ. შექმნილ სიტუაციაში, მეორე სემესტრის სწავლის საფასურის განწილვადებით შეუძლიათ ისარგებლონ სამივე საფეხურის – ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებმა და, რასაკვირველია, პირველკურსელებმაც. გარდა ამისა, კრიზისული ვითარების მიუხედავად, კვლავინდებურად, წარჩინებული სტუდენტებისთვის გავცემთ დანესებულ სტიპენდიებს. არაერთი სხვა შეღავათიც ავამოქმედეთ, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს.

რაც შეეხება განათლების სიტემის ანტიკრიზისულ გეგმას, რომელიც მთავრობამ და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შემოგვთავაზა, ის მაქსიმალურადაა მორგებული პანდემიის პირობებში არსებულ გამოწვევებთან. ჩვენთვის ამ პერიოდში ყველაზე მტკივნეულ საკითხად ის პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეობები რჩებოდა, რომელიც თავისი სპეციფიკის გამო ონლაინ ვერ ტარდებოდა. ანტიკრიზისული გეგმით, საშუალება გვეძლევა, ყველა საავსებლო სასწავლო პროცესი ალვაღვიანოთ, რისთვისაც უნივერსიტეტი, პრაქტიკულად, მზად არის.

ესაუბრა მაქა ყიფიანი

## ინფორმაცია

### განათლების სამინისტროს პროგრამების ბიუჯეტი უმცირდება

საქართველოს მთავრობამ პარლამენტში 2020 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი წარადგინა. ანტიკრიზისული ბიუჯეტი მომზადებულია COVID-19-ის გლობალური პანდემიით გამოწვეული საჭიროებებისა და გამოწვევების საპასუხოდ. ცვლილებები განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და უმაღლესი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში, იზღუდება კულტურული, სპორტული და ტურიზმის მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, ასევე, გადაიხედა 2020 წლისათვის განათლების რეფორმის ზოგიერთი მიმართულება. პროექტში წერია, რომ უკვე მიმდინარე წლის მარტიდან მნიშვნელოვნად შეიზღუდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი.

- ბიუჯეტის ცვლილებების პროექტის მიხედვით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსება მცირდება, ჯამში, 127,7 მლნ ლარის ოდენობით, მათ შორის, მიმდინარე ხარჯების ნაწილში – 89,6 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო კაპიტალური ხარჯის ნაწილში – 38,1 მლნ ლარის.
- ძირითადი პროგრამების მიხედვით მცირდება:
  - ➔ სკოლამდელი და ზოგადი განათლება – 20,4 მლნ ლარი;
  - ➔ პროფესიული განათლება – 6,3 მლნ ლარი;
  - ➔ უმაღლესი განათლება – 3,0 მლნ ლარი;

- ➔ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა – 3,9 მლნ ლარით;
- ➔ ინფრასტრუქტურის განვითარება – 17,6 მლნ ლარით;
- ➔ კულტურის დაფინანსება – 20,7 მლნ ლარით;
- ➔ სპორტის დაფინანსება – 53,3 მლნ ლარით;
- ➔ სხვა დანარჩენი პროგრამები და ხარჯები – 2,5 მლნ ლარით.

### 2020 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეული

მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს საუკეთესო ათეული სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტებმა დაასახელეს, ესენი არიან:

- ციცილო გოგაძე**  
ნალკის მუნიციპალიტეტის სოფელ გუმბათის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- სოფიო გოგონია**  
აფხაზეთის №10 საჯარო სკოლის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- სალომე გოგოლიძე**  
ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო-არქევანის საჯარო სკოლის ქართული, როგორც მეორე ენის მასწავლებელი;

- ნათელა დავითია**  
სენაკის მუნიციპალიტეტის წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის ისტორიის მასწავლებელი;
- ივანე დიღვალი**  
ორბეთის საჯარო სკოლისა და კერძო სკოლა „ახალი თაობის“ ინგლისური ენის მასწავლებელი;
- მარიანე მართუაშვილი**  
ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი;
- ანა კინწურაშვილი**  
თბილისის კერძო სკოლა „ქორალის“ მათემატიკის მასწავლებელი;
- მარიანე ფორჩხიძე**  
რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი;
- თაინა შარაზაძე**  
ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ლარის და სიმონ სხირტლადის სახელობის ქალაქ ონის საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი;
- ალზა ხაროლიაძე**  
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი.
- ფინალისტები 5 სექტემბერს დასახელდებიან, ხოლო მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებული, ტრადიციულად, 5 ოქტომბერს გამოვლინდება.



საქართველოში

# გამარჯობა, ნათია, მასსოვს, რომ მელოდები!

## მასა ყიფიანი

თუკი ქუჩაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ვერ ვხედავთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ არსებობენ, ეს მხოლოდ იმის ნიშანია, რომ ჩვენ არ ვუქმნით სათანადო პირობებს, გარეთ რომ გამოვიდნენ, არ ვაგრძობინებთ მათ, რომ ისინი ჩვენი სოციალური ნაწილი არიან. საქართველოში საკმაოდ ბევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანია, სამწუხაროდ, ისინი ძირითადად დროს სახლის პირობებში ატარებენ. დამეთანხმებით, ალბათ, რომ მათი საზოგადოებაში ინტეგრირება, მიუხედავად ბევრი მცდელობისა, რატომღაც წლებია, სათანადოდ მაინც ვერ ხერხდება.

საინტერესოა, არის თუ არა რეალურად მათთვის დასაქმების სპეციალური პროგრამები და თუ ასეა, რატომ არის ეს მხოლოდ ვინმე წრისთვის ცნობილი?

რატომ არ უზრუნველყოფთ გარემო პირობებს, რომ ეს ადამიანები დასაქმდნენ? და საერთოდ, რა რეაქცია გვაქვს, როდესაც მათ ქუჩაში ვხედავთ? უამრავი კითხვა არსებობს, რომელიც შეიძლება სხვებსაც დაუსვა და საკუთარ თავსაც, თუმცა ვიცი, რომ პასუხი ერთია – „ქვეყანაში ყველაფერი კეთდება მათ დასახმარებლად“. ამიტომ, არავისთვის არაფერი მიკითხავს და გადავწყვიტე, „ერთი გოგოს ისტორია“ გაიგებოთ, რომელსაც ჩვენი თანადგომა სჭირდება.

### გამარჯობა, მასა, ხომ არ დაგავიწყდა, რომ გელოდები?

„მე ნათია ვარ, პირველი ჯგუფის ინვალიდი და ძალიან მინდა შენთან მეგობრობა. ჯერ ჩემი ფოტოები ნახე და მერე მომწერე – შეგიძლია, იმეგობრო ჩემწინა ადამიანთან?..“

„...რომ იცოდე, როგორ გამახარე, რომ დამთანხმდი. ყოველთვის მინდოდა მეგობარი მყოლოდა, რომელსაც გულწრფელად მოგუყვებოდი ჩემზე, მომისმენდა და გამიგებდა. სამწუხაროდ, ჯერ ასეთი მეგობარი არ მყოლია, ალბათ იმიტომ, რომ ასეთი ვარ და არაფერი ვიცი. თუმცა ეს ასე არ არის, მეც ისევე ვგრძნობ, ვხედავ, განვიცდი, მესმის, როგორც სხვები. დედამ ყველაფერი გააკეთა ჩემთვის, რომ თავი განსხვავებულად არ მეგრძნო.“

შენ, შეგიძლია გამიგო ისე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანები უყვებიან და ესაუბრებინა ერთმანეთს? მითხარი, ოღონდ ძალიან გთხოვ, არ მომატყუო. მე არაფერი მინდა, ხანდახან, რომ მომწერო და მომიკითხო ხოლმე. ჩემთვის მთავარია, ადამიანმა მომისმინოს და გამიგოს. მეტი არაფერი. როცა ვგრძნობ, რომ ჩემი განსხვავებულობის გამო ადამიანები ჩემთან ურთიერთობაზე, მეგობრობაზე უარს ამბობენ, ძალიან მტკიავს გული. ასეთი ადამიანები ოცნებებს მიკლავენ“.

ადვილი მისახვედრია, ალბათ, რას გრძნობს ადამიანი, როცა ასეთ წერილს კითხულობს. სლოგანი „შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს!“ ჩვენს საზოგადოებაში კარგად შეფუთული მითია. არა, ბატონო, არა, შეზღუდული შესაძლებლობები არსებობს! დიახ, არსებობს... თვალა გაუხსნოთ რეალობას. ვალია, რომ სამ-

წუხაროდ, საზოგადოების უდიდესი ნაწილი-სათვის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები ასოცირდებიან გონებაშეზღუდულ ადამიანებთან, რის გამოც ისინი სოციალურად იზოლირდებიან, აგრესიას... მაგრამ არასდროს თანასწორობის შეგრძნებას. ალბათ ბევრ ჩვენგანს გვყავს ირგვლივ ისეთი ნაცნობი, მეგობარი, შეიძლება ოჯახის წევრიც კი, რომელიც მიიჩნევს, რომ შშმ პირების სრულფასოვანი ჩართვა საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაუშვებელია, ისინი არიან მათთან ურთიერთობის და ქმნიან ერთგვარ უჩინარ ბარიერს, რომელიც ყველა სხვა ბარიერზე მტკიცე და გადაუღებელია. სოციალურად დატოვებული ამგვარი დამოკიდებულება, რასაკვირველია, ზიანს აყენებს მათ სულიერ და ფსიქიკურ მდგომარეობას. არადა, სულაც არ არის ძნელი, რომ აღვიქვათ ისინი ჩვენს ნაწილად, ვიმეგობროთ მათთან, შევიყვაროთ და საშუალება მივცეთ, იცხოვრონ არა ჩვენში, არამედ ჩვენთან ერთად.

### ყველას გვაქვს ოცნება, მათ შორის ნათიაც...

„ჩემი ოცნება იყო, მქონოდა სამსახური, ხელფასი და შეგროვილი ფულით პატარა სახლი მეყიდა, რომელსაც ისე მოვანჯობდი, როგორც მე მინდოდა. ამიტომ კომპიუტერის კურსები გავიარე. მინდოდა, სადმე მემუშავა, სადაც მიმიღებდნენ. გარეთ ვავსულებოდი და მთელი ცხოვრება სახლში არ ვმჯდარიყავი. მაგრამ უკვე 28 წლის ვარ და ჯერ არსად მიმუშავია. პატარაობიდან სცენარზე და სიმღერაზე ვოცნებობდი, თუმცა ამის შესახებ ხმამაღლა არასდროს მითქვამს. მინდოდა, მუსიკალური განათლება მიმელო, მაგრამ ის წლები, როცა ამის შესაძლებლობა მეტ-ნაკლებად მქონდა, ვერ გამოვიყენე და დღემდე ძალიან მწყდება გული. მიყვარს ძველი ქართული სიმღერები, სადაც ბევრი ემოცია და სევდაა – გულთან უფრო ახლოა. საყვარელი მომღერალი ნატო გელაშვილია, მისთან ვმეგობრობ კიდევ. ძალიან მინდა რუსა მორჩილაძის გაცნობა. მიყვარს მისი სიმღერები, განსაკუთრებით „იასამანი“ მომწონს. 5 წლის განმავლობაში რამდენჯერმე ვცადა მასთან შეხვედრა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა. ნუთუ ასე ძნელია საყვარელ მომღერალთან ახლოს მისვლა იმისთვის, რომ ვუთხრა – მიყვარხარ? ძალიან მიყვარდა ეთერ კაკულია და გიო ხუციშვილი. ისინი ისე წავიდნენ ამ ქვეყნიდან, მათი გაცნობა ვერ მოვასწარი. ეთერ კაკულიას საფლავზე მარტო წავედი და ვუთხარი: ძალიან მიყვარხარო-მეთქი. არ ვიცი, გაიგო თუ არა, მაგრამ ღმერთმა ხომ დაინახა“.

როცა ნათიას წერილებს ვკითხულობ, სადაც ის თავის ცხოვრებაზე მიაბამს, უხერხულობის გრძობა მეუფლება, ამ ადამიანების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების გამო, სხვის ნაცვლად მრცხვენია... არ გვაქვს უფლება, ვთქვათ, რომ სხვა ქვეყნების მსგავსად ჩვენც ვზრუნავთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე მაშინ, როცა ნათიასთვის მსგავსი სურვილებიც კი ოცნებებად რჩება. დამეთანხმებით ალბათ, რომ სანამ თითოეული ჩვენგანი არ იზრუნებს

მათზე, მათი ცხოვრება ვერ შეიცვლება. თუ რამდენადაა დაცული შშმ პირთა უფლებები და არიან თუ არა ისინი აქტიურად ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ეს ყველამ კარგად ვიცით და ვხედავთ. პასუხი ერთია – არა! მრავალი ფაქტი არსებობს იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში პრობლემა არა მარტო ამ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა, არამედ მათი უფლებების აშკარა შეზღუდვაა. ამის მაგალითად ნათიას ნაამბობი ისტორიებიც კმარა.


„...იცი, რამდენი რამ გადავიტანე – მიამბობს ნათია და მიუხედავად ყველაფრისა, ის იბრძვის, ცდილობს სოციალურ ინტეგრირებას. მას არ აქვს არასრულფასოვნების კომპლექსი, არ ერიდება საზოგადოებაში გამოჩენის და თავის მდგომარეობას რეალურად აფასებს. მიუხედავად ფიზიკური თუ ინტელექტუალური დარღვევებისა, ცდილობს, აქტიურად ჩაერთოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში – მინდ მქონდეს ჩემი საქმე, სადაც წავალ. მინდა, ასევე, რომ ყველასგან სითბოს და სიყვარულს ვგრძნობდე და არა შეცოდებას“.

ნათია მუშაობდა 28 წლისა, დედასთან და უმცროს დასთან ერთად, 25 წელია, თბილისში ქირით ცხოვრობს. მცირეობისთვის ოჯახი, თვეში – 300 ლარს, ბინის ქირაში იხდის. ნათიას მხოლოდ ინვალიდობის პენსია ეძლევა და მისი მკურნალობისთვის ოჯახს საკმარისი თანხა არ აქვს. ნათიას მდგომარეობა ქრონიკულია. ვარჯიშები საჭიროა იმისთვის, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო არ დამძიმდეს.

„დედამ მითხრა: თუ რაიმე დამატებით საარსებო არ გამოჩნდება, შეიძლება კახეთში დაგზრუნდეთ. მე ძალიან გამიჭირდება იქ ყოფნა. მთელი ჩემი ცხოვრება თბილისში გავატარე. 4 წლიდან 17 წლამდე იაშვილის კლინიკაში დავდიოდი ვარჯიშებზე. 17 წლის შემდეგ არაფერი გამიკეთებია და არსად აღარ მივლია იმიტომ, რომ ამის შესაძლებლობა ფინანსურად, ოჯახს აღარ ჰქონდა. მყავს უმცროსი და, რომელსაც ოჯახის ხელმძღვანელობა სჭირდება. რადგან საკმარისი შემოსავალი არ გვქონდა, ამიტომ 17 წლისამ ყველაფერზე უარი ვთქვი და ყველაფერი ჩემს დას დავეთვინე. თავდაპირველად, გურჯაანის სკოლა-ინტერნატი დავდიოდი, სადაც ჩემწინა ბავშვები სწავლობდნენ. თანაკლასელებთან ყველასთან ერთნაირად ვმეგობრობდი. შემდეგ თბილისში ჩამოვედი. ვსწავლობდი და დავამთავრე კიდევ 105-ე საჯარო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ კომპიუტერული პროგრამების კურსი გავიარე იმ იმედით, რომ სადმე დავსაქმდებოდი...“

სანამ კიდევ დრო მაქვს, მინდა მქონდეს სამსახური, შემეძლოს ადამიანებთან ურთიერთობა და მცირე შემოსავალი, რომ ჩემი თავის მიხედვა შევძლო“.

ნათია შშმ პირია, პირველი ჯგუფის ინვალიდი, დიაგნოზით: რევორალური დამბლა, დიქიონეზური ფორმა G80.3, ნერვული-კიდობანი სქოლოზი Mu1.4. თავის დროზე, ჩაუტარდა მკურნალობა – ინტერნეტ კინეზოთერაპია RUR160; ხერხემლის მიდამოს სამკურნალო მასაჟი N10. RUR160; ჰიდროკინეზო-



თერაპია N10 RUR 160. მას ეს მკურნალობა სჭირდება მუდმივად, წელიწადში სამჯერ – 12 დღის განმავლობაში, ერთი კურსის ღირებულება – 600-700 ლარია. მის ოჯახს კი ამის საშუალება არ აქვს, რის გამოც ნათიას მდგომარეობა, წლებთან ერთად, უფრო და უფრო მძიმდება. „17 წლამდე მკურნალობის კურსს გავდიოდი. ჩემთან ერთად ძალიან ბევრი ბავშვი იყო, ჩემზე ბევრად მძიმე მდგომარეობაში. იმ ბავშვების მდგომარეობა, ვინც მაშინ მკურნალობის კურსის ბოლომდე ჩაატარებდა ვერ შეძლეს, დღემდე მძიმეა. მე კი დედის თითქმის ყოველდღე დავეყავი პროცედურებზე და თუკი დღეს სიარული და თითქმის ყველაფრის კეთება შემიძლია, ეს დედას დამსახურებაა. მან ბოლომდე იბრძოლა, რომ ფეხზე დავეყენებინე, შემძებოდა დამოუკიდებლად გადაადგილება, მქონდა უნარ-ჩვევები. უზოლოდ მაღლივრი ვარ მისი“.

17 წლის შემდეგ, ნათიამ დანიშნული, აუცილებელი ვარჯიშების კეთება, უსასწრობის გამო, მხოლოდ ერთხელ შეძლო. დედა, რომელიც მისი ერთადერთი და ყველაზე საიმედო მეგობარია, დღემდე ყველაფერს აკეთებს მის დასახმარებლად, თუმცა, ეს მისი მდგომარეობისთვის საკმარისი არ არის: „დედა, ფიზიკურად, ძალიან ბევრს მუშაობს იმისთვის, რომ თანხა შეაგროვოს ჩემთვის. თუმცა, უამრავი ყოფილი პრობლემებიდან გამომდინარე, ეს შეუძლებელია. ძალიან მინდა, დედას შრომა შეეუზღუპო. ის 57 წლისაა. დრო რომ გადის და წლები ემატება, ძალიან განვიცდი... სანამდე მეყოლება? იცი, როგორ ვენერვილობ? ამიტომ მინდა, ჩემთვის სადმე სამსახური გამოიხატოს, რათა ჩემი თავის მოვლა შევძლო. მე არავის ვიცნობ, რომ დამეხმაროს. კომპიუტერული პროგრამები კარგად ვიცი, ყველაფერს ვააკეთებ, რასაც დამაავალებენ. შემიძლია მოლარე-ოპერატორადაც ვიმუშაო.“

ნათიას ყოველდღიურობა ერთფეროვანია. როცა დედა სამსახურში მიდის, სახლში მარტო რჩება, ერთგულ მეგობარ ძალთან – ბობოსთან ერთად. უსმენს საყვარელ მუსიკას და კომპიუტერის საშუალებით სოციალური ქსელით სარგებლობს, „ახალ ამბებს“ ეცნობა. „ადრე ბევრს ვკითხულობდი, ბოლო სამი წელია, არაფერი ნამიკითხავს. გულს ვეღარ ვუდებ. ახლა, სულ ჩემს თავზე ვფიქრობ და ვნერვიულობ, რომ ისეთი აღარ ვარ, როგორც წლების წინ ვიყავი. არა, ჩემი თავი არასდროს მომწონდა, უბრალოდ ნელ-ნელა შესაძლებლობებს რომ ვკარგავ, ამას განვიცდი. ჩემი საყვარელი საქმიანობა დღეს უკვე მართლა აღარ ვიცი რა არის. ეს შეკითხვა 3 წლის წინ რომ დავგესვით, აუცილებლად გიპასუხებდით.“

აღარ ვოცნებობ... რეალურად ვუყურებ ცხოვრებას...

მხოლოდ ერთი რამ მინდა ვითხრა: ნუ მომატყუებ, ნუ დამპირდები...“

აი, სულ ეს არის ჩემი ამბავი – „ერთი გოგოს ისტორია“.

ნათიას დავპირდი, რომ მის შესახებ აუცილებლად დავწერდი. მას ჩვენი თანადგომა სჭირდება.

გამარჯობა, ნათია, მასსოვს, რომ მელოდები!





გამოსდილა

# დისტანსური სწავლების გამოწვევები, პრობლემები და მიღწევები



**ნანა ნოშაძე**

თბილისის კლასიკური გიმნაზიის ისტ-ის მენტორი მასწავლებელი, „ახალი სკოლის მოდელის“ ტექნოლოგიების ქოუჩი, ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი

### ისტ-ტექნოლოგიები და დისტანსური სწავლება

პანდემია გამოწვევა აღმოჩნდა განსაკუთრებით ისტ-ის მასწავლებლებისთვის.

➔ არ არსებობს ჩვენს საგანში გრიფირებული სახელმძღვანელო;

➔ არ არსებობს არანაირი პლატფორმა, სადაც იქნება სისტემური მეცადინეობები ან აქტივობები ისტ-ის საგანში;

➔ არ იყო ჩასმული სატელევიზიო სივრცეში ისტ-ის საგანი.

როგორც კი გადავდით დისტანსურ სწავლებაზე ჩემი ტელეფონი არ ჩერდებოდა, როგორც მენტორ მასწავლებელს, მომდოდა უამრავი მესიჯი თუ რა უნდა გააკეთოს ამ კუთხით ისტ-ის მასწავლებელმა. შეიძლება თქვათ, რომ ტექნოლოგიებზე უამრავი მასალა გამოქვეყნებული და შეგვეძლო რაღაც პროგრამები გამოგვეყენებინა, რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ როცა საუბარია პირველ, მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეებზე, მათ სხვანაირად სჭირდებათ გზის მიცემა.

ჩემთვის, როგორც მენტორი მასწავლებლისთვის, გამოწვევა აღმოჩნდა პანდემია. გადავწყვიტე, ჩამენერა ვიდეოგაკვეთილები და ამტვირთა სოციალურ ქსელში, სადაც ისტ-ის მასწავლებლებს გვაქვს ჯგუფი. ცოტა ხანში შევხედე, რომ მსგავსი მოქმედებები არ გაამართლებდა, რადგან ქსელში იკარგებოდა პოსტები.

გადავწყვიტე, შემექმნა ბლოგი, სადაც თავს მოვუყრიდი ჩემს გაკვეთილებს და ეს მასალა არა მარტო ისტ-ის მასწავლებლებს გამოადგებოდათ, არამედ სხვა საგნის მასწავლებლებსაც შეეძლოთ გამოყენებინათ. ავტორით, ასევე, დამატებითი რესურსები და ჩემი ბლოგი დღემდე მდიდრდება სხვადასხვა მასალით.

➔ ცალკე გამოყოფილია პირველი კლასის მასალა ვიდეოგაკვეთილების სახით, სავარჯიშოებით და სასარგებლო ბმულებით;

➔ მე-5 და მე-6 კლასების მოსწავლეებისთვის ჩვენს ვიდეოგაკვეთილებს რესურსებით და სავარჯიშოებით.

ონლაინ სწავლის დროს პრობლემა შეექმნათ ისტ-ის მასწავლებლებს, რომლებიც სოფელში იყვნენ, ან არ ჰქონდათ წესრიგში კომპიუტერები, მათთვის კომფორტული აღმოჩნდა ვიდეოგაკვეთილების ყურება, ხოლო გაკვეთილის უკუკავშირის, ტესტური გამოკითხვის ფორმის შემგებობით, ტელეფონით თავისუფლად ახერხებდნენ.

ბლოგი მასწავლებლებისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც ხელმისაწვდომია, სწავლის დროს მოსწავლეებს ეგზავნებათ ბლოგის მისამართი და ისინი თავისუფლად მუშაობენ. მინდა, წარმოგიდგინოთ ეს პლატფორმა, სადაც, ასევე, ავტორით ჩემი პირველი კლასის სავარჯიშოების ელექტრონული ვერსია.

ზოგადად, მინდა ვთქვა, რომ მოსწავლეები გაცილებით მეტს ითხოვენ დისტანსური სწავლის დროს. რას ვგულისხმობ? მათთვის გაცილებით საინტერესო აღმოჩნდა ელექტრონული რესურსები, გაცილებით მეტი ინტერესით შეუდგნენ მეცადინეობას, ცოდნის გაღრმავებას, რადგან დაინახეს, რომ ტექნოლოგიებით სწავლა მათ ამა თუ იმ მასალის უკეთ ათვისებას უიოლებს. სკოლაში მასწავლებელს შეიძლება მიეთითებინა მათთვის ელრესურსი, მაგრამ ისინი ამ ყველაფერს ან ნახულობდნენ, ან ვერ ასწრებდნენ ნახვას, სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობებზე სიარულის გამო. პანდემიის დროს ყველანი სახლში იყვნენ და დრო საკმარისად ჰქონდათ.

აღსანიშნავია მშობლის როლი ონლაინ სწავლის დროს, მათ დიდი წვლილი შეიტანეს იმაში, რომ ონლაინ სწავლა გამართული ყოფილიყო. თითოეულ მშობელს, ალბათ, მადლობა უნდა გადაუხადოთ. სწორედ ამ გუნდურმა მუშაობამ მიგვიყვანა იმ შედეგამდე, სადაც მივდით. მე თვითონ ოთხი შვილის დედა ვარ და ძალიან კარგად ვიცი, რას ნიშნავდა თითოეული ოჯახისთვის შვილისთვის კომფორტული გარემოს შექმნა.

წარმატებები ყველას, ეს გამოწვევა ჩვენ ერთად გადავლახეთ.

<https://istteqologiebi.blogspot.com/>

### პანდემიის დროს ონლაინ მოგზაურობა და სკოლების დამზადება

უამრავი გამოწვევა ყოფილა ჩემ წინაშე, როგორც ისტ-ის მასწავლებლის. მოგეხსენებათ, ჩვენს საგანს არ ალიქვამენ, როგორც ცალკე საგანს, გამჭოლად გასდევს სასწავლო საგნობრივ ჯგუფებს. ამიტომ, როდესაც რამეს ვასწავლი მოსწავლეებს, მეც პარალელს ვავლებ სხვადასხვა საგანთან თუ ცხოვრებისეულ მოვლენასთან.

პანდემიის დროს, მიმდინარე ონლაინ გაკვეთილებზე, ძალიან დიდი დეფიციტი შეიქმნა ადამიანური ურთიერთობის, აზრების გაზიარების. ჩემს მოსწავლეებს არასოდეს ვაკლებდი მრავალფეროვან რესურსებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს საკმარისი არ არის. მინდოდა, პანდემიის დროს, ჩემი ცოდნა, როგორც ისტ-ის მენტორი მასწავლებლის, სხვა მასწავლებლებისთვის გამეზიარებინა. ზემოთ უკვე ვისაუბრე იმაზე, რომ გადავწყვიტე, ჩამენერა ვიდეოგაკვეთილები სხვადასხვა დამატებითი რესურსით და ბლოგზე ამტვირთა, მართლაც შევექმენი ბლოგი და ვტვირთავდი გაკვეთილებს პირველი, მე-5 და მე-6 კლასის მოსწავლეებისთვის. უამრავი კოლეგის გამოხმაურებამ მიბიძგა, დამეწყო ონლაინ მოგზაურობა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ონლაინ ჩართვის დროს ერთად დაგვეგეგმა გაკვეთილები და გავეცინო სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები.

მართლაც ასე მოხდა. ჩემი გამოწვევა სოციალურ ქსელში მალევე აიტაცეს ისტ-ის მასწავლებლებმა, პირველი ონლაინ ჩართვა გვექონდა თბილისის კლასიკური გიმნაზიის მოსწავლეებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის მოსწავლეებთან. ამავე სკოლის ისტ-ის მასწავლებელი ხათუნა ასანიძე გახარებული იყო ამ წამოწყებით. პირველი ჩართვის დროს ცოტა ველავდით, მაგრამ მოსწავლეები ისე თავისუფლად იყვნენ და ისეთი გახარებულები ახალი ურთიერთობებითა და სიახლეებით, რომ ჩვენც გავხალისდით. მოსწავლეებმა ერთმანეთს თავიანთი სკოლები გააცნეს, ერთობლივად ვიმსჯელებთ კიბერუსაფრთხოებაზე, განვიხილეთ სხვადასხვა ელექტრონული რესურსი.

უკუკავშირის დროს მოსწავლეები აღნიშნავდნენ:

➔ „ქალბატონ ნანას ვუსურვებდი წარმატებას პირად და სამსახურებრივ საქმიანობაში და ვისურვებდი, რომ კვლავ ჩავვეერთოს და ასეთი საინტერესო გაკვეთილები ჩავგიტაროს თავის მოსწავლეებთან ერთად.“

➔ „ჩემი სურვილია, რომ აღარ იყვნენ ისეთ ადამიანები, რომლებიც ახორციელებენ ცუდ თამაშებს და ითხოვენ ჩვენს ინფორმაციას.“

➔ „მე მინდა, ასეთი გაკვეთილები ხშირად გვექონდეს. კიდევ, როგორი ტესტებიც იყო გაკვეთილზე, ეგეთი ტესტები მინდა ხშირად გავაკეთოთ.“

➔ „მინდა, რომ ნანა მასწავლებელი კიდევ ერთხელ გვესტუმროს გაკვეთილზე, გვესაუბროს სხვადასხვა თემების შენახებ ან ისევე კიბერუსაფრთხოებაზე.“

➔ „ჩემი სურვილია, ხშირად ჩავგიტაროთ მსგავსი გაკვეთილები.“

➔ „მე მინდა, რომ თქვენს კლასიკურ გიმნაზიაში მოვანწყოთ ექსკურსია და უფრო კარგად გავიცნოთ თქვენი სკოლის მოსწავლეები.“

➔ „მე მინდა, რომ შემდეგი გაკვეთილი (თუ ჩატარდება) იმაზე იყოს, როგორ გავიგოთ ესა თუ ის ადამიანი ბოტია თუ ნამდვილი ადამიანია და ავხსნათ, როგორ მუშაობს ბოტი სხვადასხვა საიტებზე (ფეისბუქი, ინსტაგრამი, მესენჯერი და ა.შ.)“

ქალბატონი ხათუნა ასანიძის უკუკავშირი კი ასეთი იყო:


➔ „ვერ ვიფიქრებდი, თუ ოდესმე თბილისის სკოლის მოსწავლეებთან ერთად ჩავატარებდი გაკვეთილს. ეს კავშირი, განსაკუთრებით პანდემიის დროს, მალაჩო იყო თითოეული ჩვენგანისთვის როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის, საოცარი გამოწვევა იყო. დიდი მადლობა ქალბატონ ნანას ნოზაძეს ასეთი შესაძლებლობისთვის. ძალიან ბევრი რამ გავიგეთ, ბევრი სიახლე და სასიამოვნო აქტივობები გავვიზიარეს. მე, ჩემ მხრივ, გადავწყვიტე, სხვა მასწავლებლებს გამოემჩნია სხვა სკოლებიდან. წარმატებები ჩვენს საყვარელ მოსწავლეებს, ყველაზე მეტად გამახარა მოსწავლეების ახლო კონტაქტმა, ურთიერთობამ და სითბომ, რომელიც ეკრანებიდან იფრქვეოდა.“

შემდეგი გაჩერება იყო გორის მუნიციპალიტეტის ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გიმნაზია, სადაც ვესტუმრეთ ისტ-ის მასწავლებელს ქალბატონ გიული ბუთხუზს და მის მოსწავლეებს. ამ ჩართვასაც ემოციების გარეშე არ ჩაუვლია, საინტერესო იყო მოსწავლეების უკუკავშირი,

ამის შემდეგ, ვახტანგ ჭაბუკიანის საბალეტო 46-ე სკოლის და სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ საქობოს სკოლების მოსწავლეები და მასწავლებლები ჩაერთვნენ. მოსწავლეები აღფრთოვანდნენ, როდესაც საბალეტო ფორმაში გამოწყობილი თანატოლები ესალმებოდნენ ეკრანის მიღმა. საინტერესო და სასარგებლო აღმოჩნდა აღნიშნული გაკვეთილი ამავე სკოლის დირექტორისთვის და სხვა საგნის მასწავლებლებისთვისაც, რომელთა სურვილი იყო, აღნიშნულ ონლაინ გაკვეთილში ჩართვა.

ონლაინ მოგზაურობის დროს მოსწავლეებმა შეასრულეს, გაკვეთილის თემატიკიდან გამომდინარე, პლაკატები კიბერუსაფრთხოებაზე. ვთავაზობთ რამდენიმე ნიმუშს და სურათებს აღნიშნული აქტივობებიდან.

დიდი მადლობა თითოეულ მასწავლებელს, მშობლებს და მოსწავლეებს ამ წამოწყების ხელშეწყობისთვის. მოგზაურობა გრძელდება შემდეგი გაჩერება...



**ვინდა დაგეგმოდეთ?** **არაა**

**არ ესაუბროთ უცხოებს ნუ დაამარებთ ურთიერთობას | უცხოთან და არასდროს დათანხმდით მასთან მეგობრობას**

**ლანა ყარალაშვილი**

**ნუ დაველაპარაკებთ უცხო პირებს.**

**მარამ ხანდლოშვილი**

**გაუზიარე თქვენი ცოდნა მეგობრებს ან იმათ, ვინც თქვენზე ნაკლებად იცნობს კიბერუსაფრთხოებას და თქვენზე ნაკლებად დაცულია ონლაინ სივრცეში. გახდით უსაფრთხო ქცევის კარგი მაგალითი გარშემომყოფთათვის!**

**ლუკა ყოჩიაშვილი**

თუ მოგვსიათ წერილი სადაც მიითქვამს ლინკი, ვთხოვთ აქცეის შეცვლას და ნუ შეცვლთ კინის ბილდებს, თამაშებს, თეკუნების ნომერს უფაილდ!

ნუ შეცვლთ ასეთ რაღაცებს,

ნუ გაზნით ლინკებს რომლებსაც არ უნდათ, და ნუ დაიანბნებთ ვინაც არ იცნობთ იმისთან

**ანანარა ჭაბუკიანი**

**შეხვედრას**



გამოსვლილება

# დისტანციური სწავლების ნიუანსები მაღალმთიანი რეგიონის სკოლებში



### ნიკო შიჭინაძე

სსიპ ონის მუნიციპალიტეტის სოფელ ღარის საჯარო სკოლის დანერგვის კლასის დამრიგებელი, განათლების ფსიქოლოგი, პროგრამის „ახალი სკოლის მოდელი“ სასწავლო გეგმების განვითარებისა და დანერგვის სპეციალისტი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ათეულთა კლუბის წევრი

სტატიის მიზანი გახლავთ, აღწერო დისტანციური სწავლების პრობლემები და მისი დაძლევის რეკომენდებული თუ ჩემ მიერ ნაცადი გზები. მსურს, გაგიზიაროთ დისტანციური სწავლების პრაქტიკა, რომელიც პანდემიის დროს შევიძინე; გესაუბროთ კომპლექსური დავალებების უპირატესობაზე, რომელიც, შეცვლილი სასწავლო გარემოს მიუხედავად, სწავლების მიზნის მიღწევის შესაძლებლობას გვაძლევს. დისტანციური სწავლება, როგორც საკლასო სწავლების ალტერნატივა, სწავლების პარალელურად, ბევრ ქვეყანაში პანდემიამდეც იყო დანერგილი, მათ შორის საქართველოშიც მოქმედებს „დისტანციური სწავლების პროგრამა“, რომელიც ნარმატივით ხორციელდება.

განათლების მკვლევრებმა ჩამოაყალიბეს დისტანციური სწავლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, თითოეული პუნქტის ნამდვილობაში პრაქტიკამ დამარწმუნა.

#### ონლაინ სწავლების დადებითი მხარეები:

- ➔ მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნა;
- ➔ მოითხოვს ნაკლებ მატერიალურ რესურსს;
- ➔ ეფექტიანი ინდივიდუალური უკუკავშირის მინორდება;
- ➔ ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება;
- ➔ ონლაინ სწავლებისას შესაძლებელია მასწავლებელთა დეფიციტის დაძლევა;
- ➔ არ გააჩნია გეოგრაფიული საზღვრები.

საინტერესო და დასაფიქრებელია დისტანციური სწავლების უარყოფითი მხარეების გაცნობა, რათა შევძლოთ მათ დაძლევაზე მუშაობა. განვიხილოთ თითოეულს და აღწერო გზებს, თუ როგორ შევძელით თითოეულ მათგანთან გამკლავება.

დისტანციური სწავლება მოითხოვს ძლიერ თვითმორტივაციას და დროის მენეჯმენტს;

დაბალი ტექნიკური უნარების მქონე ადამიანებისთვის ხელმიუწვდომელია;

ხარისხის ნაკლებობა ონლაინ განათლებაში;

შეზღუდულია გარკვეული დისციპლინების სწავლება;

ინვესტაცია მოსწავლეებში კომუნიკაციის ნაკლებ განვითარებას;

შეიძლება გამოიწვიოს სოციალური იზოლაცია;

დისტანციური სწავლებისას მეტია თეორია, ნაკლებია პრაქტიკული სამუშაოები.

ვერ ვისაუბრებდი დისტანციურ სწავლებაზე, რომ არა მთავარი პრობლემის დაძლევა – მაღალმთიანი რეგიონებში ინტერნეტთან წვდომა რთულია, ჩემი მოსწავლეების უმრავლესობა მობილურ ინტერნეტს იყენებდა, მაღლობა მშობლებს, რომ სახსრები არ დაიშურეს აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად.

როდესაც ვსაუბრობთ თვითმორტივაციასა და დროის მენეჯმენტზე, ჩემ შემთხვევაში, ამ მიმართულებას მშობლები აკონტროლებდნენ. სწორედ მშობლებთან სწორი კომუნიკაცია გახდა იმის წინაპირობა, რომ მათ უზრუნველყოთ მოსწავლეთა ჩართულობა. მკვლევართა აზრით, დისტანციური სწავლება დაბალი ტექნიკური უნარების მქონე ადამიანებისთვის ხელმიუწვდომელია, სწორედ ამ მიმართულებით დაგვჭირდა დიდი მუშაობა, ვინაიდან I კლასს ვასწავლი, მათი ცოდნა და უნარები, ცხადია, იმ დონეზე ვერ იქნებოდა, რასაც ონლაინ სწავლებისთვის პროგრამის „Microsoft teams“ გამოყენება მოითხოვს. შესაბამისად, მშობლებთან მქონდა კომუნიკაცია, ვუვ ზავნიდი სასწავლო ვიდეოებს, ფოტომასალას, მათთან შექმნილ პრობლემებს განვიხილავდით და, ამ მუშაობის საფუძველზე, თითოეულმა ბავშვმა შეძლო ონლაინ სწავლებაში მონაწილეობა. თუ დასაწყისში მათ თამაში ეგონათ და როგორც გართობისას იქცეოდნენ, ჩართულებზე იმგვარი გამოვლინებები ჰქონდათ. სემესტრის შუა პერიოდისთვის, მათი ყურადღების კონცენტრირების და ქცევის ცვლილება აშკარა იყო.

ონლაინ სწავლებისას აქტიურად ვიყენებდი: ვიდეორჩაბებს, სასწავლო ვიდეოებს და სახალისო სასწავლო საიტებს ([ka.khanacademy.org](http://ka.khanacademy.org), [L,h](http://L,h), <http://www.kargiskola.ge/>), რათა

სწავლების პროცესი ყოფილიყო როგორც აკადემიური ცოდნის შემქმნელი, ასევე სახალისო და საინტერესო, მოსწავლეთა მოტივაციაზე დადებითი ასახვა ჰქონოდა. ამგვარი დაბალანსებით შევძელი ის, რომ სწავლის დასრულებამდე მოსწავლეები მოუთმენლად ელოდნენ ჩართვებს, რომელსაც, საგნის ფარგლებში, კვირაში ერთს ვახორციელებდით.

თუ გვაქვს ინტერნეტსივრცეში განთავსებული უამრავი მასალა და საინტერესო სასწავლო ვიდეოები თუ ფილმები, შესაძლოა, გაჩნდეს კითხვა – რატომ ონლაინ ჩართვები? ვინაიდან მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლის გათვალისწინება და, მათი წინარე ცოდნისა თუ უნარების გათვალისწინებით, მასალის მიწოდება, ვფიქრობ, ყველაზე ეფექტიანად პედაგოგს შეუძლია. ვიზუალური მასალისა და ვერბალური ახსნის სინქრონულობა, რომელსაც მასწავლებელი ახორციელებს, მეტად შედეგიანია. ამავდროულად, ჩართვებისას, ხდებოდა მოსწავლეებთან დაახლოება და სოციალიზაცია, ისინი პანდემიით გამოწვეულ სტრესსა და შფოთვისას ახალი სასწავლო გარემოს დახმარებით უმკლავდებოდნენ. შესაბამისად, ჩვენთვის ყოველი ჩართვა ერთმანეთის მოფერების საშუალება იყო, ისე ვუღიმოდით და გვიხაროდა ერთმანეთის ნახვა, თითქოს, დისტანცია ქრებოდა, მზერით და სიტყვით ვეფერებოდით ერთმანეთს.

აღსანიშნავია, რომ რიგი გამოწვევების დაძლევაში მშობელთა წვლილი იყო დიდი, რაც შეეხება ონლაინ სწავლების ხარისხს, ამ მიმართულებით, სრული პასუხისმგებლობა მე, როგორც პედაგოგს, დამეკისრა, შესაბამისად, მიზნის მისაღწევად, სასწავლო მასალის მოდიფიცირება გავაკეთე.

#### ➔ ვქმნიდი:

- ა) მიზნობრივ სლაიდშოუებს;
- ბ) კომპლექსურ დავალებებს.

მარტივი გზაა, უთხრა ნიგნის გვერდები, მიუთითო საიტი, სადაც ვიდეოგაკვეთილია, მაგრამ ჩავთვალე, რომ 6-7 წლის მოსწავლე მზად არ არის ბუნდოვანებისთვის, არც მშობელია მზად, „მასწავლებლობა“ გასწიოს. ამიტომ, თითოეულ საკითხზე, ვგულისხმობ მათემატიკას და ქართულს, ვქმნიდი „სლაიდშოუს“, სადაც ნათლად იყო ასახული, მაგალითად „გამოკლების ხერხები“ ან „შეკრების შესრულება 10-ის გავლით“. ჩართვისას, ამ თვალსაჩინოების გამოყენებით, თითოეულ დეტალზე აქცენტს ვაკეთებდი და მოსწავლეებთან ინტერაქცია მეხმარებოდა, მათი გაგების პროცესის თანმდევი ვყოფილიყავი, შემეფასებინა რა იყო მათთვის ცხადი და რისი ახსნა იყო საჭირო. ყოველ ასეთ ჩართვას ახლდა დავალებები (აქტივობათა კრებული ან კომპლექსური დავალება), რომლებიც თავის თავში მოიცავდა დავალებამდე შესასრულებელ აქტივობებს, მათი შესრულება ნაბიჯ-ნაბიჯ მიიყვანდა მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებამდე.


რა არის კომპლექსური დავალება? მრავალმხრივი ცოდნის გამოვლენის საშუალება, სადაც უნარებიც ჩანს, ცოდნაც და ცოდნის ტრანსფერიც. ითვალისწინებს სწავლა-სწავლების კონსტრუქციის ტერმინებს და მიმართულია პროდუქტის შექმნაზე.

რას აძლევს მოსწავლეს ისეთს, რაც აქამდე მას არ ჰქონდა? ეს არის შექმნილი პროდუქტი და მისი ახსნა. ახსნა არა ისეთი, რასაც აქამდე ახორციელებდნენ (უმრავლეს შემთხვევაში, იმის ნაკითხვა, რაც დანერგა), არამედ ახსნისას უნდა ხორციელდებოდეს მეტაკოგნიცია და ანალიზი. აგრეთვე, დავალებებს დაემატა კონტექსტი – ნებისმიერ საგანში შექმნილი დავალება უნდა უკავშირდებოდეს საყოფაცხოვრებო კონტექსტს, რათა მოხდეს სკოლასა და ცხოვრებას შორის კავშირის დანახვა.

#### ✓ მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალების ნიმუშები

- თემა: დაბადების დღე;
- ცნება: წერა და ჟანრი;
- საკითხი: საკომუნიკაციო სიტუაცია – მიზანი, თემა, აუდიტორია (რა მიზნით ვწერ? ვისთვის ვწერ? რაზე ვწერ?);
- სტრუქტურა – სათაური, აბზაცი;

#### ✓ კომპლექსური დავალება – მისალოცი და მოსანვევი ბარათების შექმნა.



აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლებისას, როცა ის უალტერნატივოა, მკვლევართა მიერ უარყოფითად მიჩნეული ნიუანსები დადებითადაც კი იქცა. მაგალითად, შეიძლება ნაკლებ განვითარდეს კომუნიკაცია და სოციალური უნარები. ჩემს პრაქტიკაში, ამ კუთხით, სურათი საპირისპიროდ შეიცვალა, ვინაიდან სკოლა მცირეკონტინგენტისა და მოსწავლეები, პანდემიისას, შინ ჩაკეტნენ, მეგობრებს დაშორდნენ თითქმის 3 თვე, ამის საპირისპიროდ, ონლაინ ჩართვები გამოვიყენე. რეგულარულმა ჩართვებმა, საგაკვეთილო თუ ზოგად თემებზე საუბარმა, მათი კომუნიკაციის უნარზე დადებითი გავლენა იქონია.

საყურადღებოა მაღალმთიანობის უპირატესობანი დისტანციური სწავლებისას. მარტივია მოსწავლეთა ორგანიზება, მათი მცირერიცხოვნობის გამო. იოლია კომუნიკაცია მშობლებთან, მოსწავლეთა სოციალური კომუნიკაციის სიმცირე ზრდის მოტივაციას და ჩართულობას.



➔ შეჯამებისას აღვნიშნავ, რომ სწავლების პრინციპების გასათვალისწინებლად და მოსწავლეთა შედეგების დადებითი მიმართულებით ზრდისთვის განვლილი გზა ითვალისწინებდა სამი ძირითადი მიმართულების გააქტიურებას, ესენია: როგორც ჩემი, ასევე მშობლების ტექნოლოგიების ფლობის უნარის დახვეწა, მშობელთა ჩართულობის ზრდა და მიზნობრივი სასწავლო მასალის შექმნა.

– მობილიზების, თვითგანვითარების, მოტივაციის, დიდი შრომის, კომპლექსური დავალებების, მშობლებთან სწორი კომუნიკაციისა და ჩართულობის შედეგად, დისტანციური სწავლების გამოწვევები დაძვლიეთ და ჩემი პირველკლასელები ყველა იმ ცოდნითა და უნარით არიან აღჭურვილი, რაც მეორე კლასისთვის მათ მზაობას სჭირდება.

– მოდიფიცირებულ სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია გამაადვილა განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „ახალი სკოლის მოდელი“ მიღებულმა გამოცდილებამ. სწორედ ამ პროგრამის ფარგლებში, სასწავლო წლის დასაწყისში, მეც და საკმაოდ ბევრმა პედაგოგმა „გავიცანით“ კომპლექსური დავალებები და შევიტყვეთ მათი შედეგიანობა. აგრეთვე, ტექნოლოგიების კუთხით გვექონდა ცოდნა, რომლის გაღრმავებაც იოლად შეეძლებოდა. შესაბამისად, ჩემი პრაქტიკის შედეგიანობა დიდწილად ამ პროგრამის დამახარებელია.



# რას ნიშნავს იყო კარგი საგანმანათლებლო ლიდერი – გაიცანით სკოლის ლიდერობის ეროვნული კონკურსის ფინალისტები



**მიმონა ლოლიჯაშვილი**  
გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ უკვე მეექვსე წელია, გოჩის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავის სა-

ჯარო სკოლის დირექტორი ვაჩ და ვაჟეთებ საქმეს, რომელიც ყველაფერზე მეტად მიყვარს. სკოლის ღირებულების ეროვნული კონკურსის ფინალში მონაწილეობა ჩემთვის უდიდესი ბედნიერებაა, უამრავი გასახილველი ადამიანი ჩემი რიგვით – ჩემი მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, მეგობრები და ყიდევ უფო მეტი პასუხისმგებლობა ჩემთვის სასკოლო საზოგადოების და ჩემი ქვეყნის წინაშე.

◆◆ თანამედროვე განათლების სისტემაში სკოლის დირექტორად მუშაობა მასტივი ახაა. სკოლის ღირებულების ეროვნული კონკურსში მონაწილეობა მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ჩემთვის. სკოლის წარმატებას მხარხარ ფაქტორი განაპირობებს: სკოლის უკ-

ტუა, სასკოლო კლიმატი, გუნდობა, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სიხარულების დანერგვა, მედროვი განვითარება და ყველაზე მთავარი, ხა თქმა უნდა, მოსწავლეა, მასზე მიიხედოებილი სასწავლო გახეობს შექმნა, მისი უსაფრთხოება და ახალგაზრდობივ და შემოქმედებით გახეობში სწავლა.

◆◆ მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს შემდეგ, რომელმაც უდავოდ დიდი აღიარება მოიპოვა, ხელი შეუწყო მასწავლებლის ჰიმოფსიის პოპულარიზაციას, ფაქტობრივად საზოგადოებას ძალიან საინტერესო, გამორჩეული პედაგოგები გაგვაცნო, დახმუნებული ვაჩ, სკოლის ღირებულების ეროვნული კონკურსის, რომელიც საქართველოში პირველად გახდებდა, სკოლებს შესაძლებლობას მოგვცემს,

ჩვენი თავი და ჩვენი საგანმანათლებლო შედეგები და გამოცდილება წარმოვაჩინოთ. ხელს შეუწყობს ცოდნის გაზიარებას, საუკეთესო პრაქტიკის გაცნობას, სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ხაც, საბოლოოდ, დადებითად უნდა აისახოს მოსწავლეზე, ხაც საინტერესო საგანმანათლებლო სივრცე აქცევს ჩვენს სკოლებს, სადაც სწავლა და ყოფნა ყველასთვის სასიამოვნო, სახალისო, შედეგზე მიიხედოებილი იქნება.

◆◆ აჩ ახლებობს იმაზე დიდი ჯილდო ადამიანისთვის, ხოცა საქმე, რომელსაც აკეთებს მთელი გულით, დებს უდიდეს შიმძას, ენეგის და ხეხისს, აალიარებული და დაფასებულია.



**ინა ზინაშვილი**  
საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგვზარის საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ ჩემთვის, ხოგოჩს მალაღმთიან სოფლის სკოლის დირექტორისთვის, სკოლის ღირებულების ეროვნული კონკურსის ფინალში მონაწილეობა უკვე გამაჩვენებაა, ამიტომაც დიდი და უჩვეულო ემოცია

მომიტანა ხოგესაც კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტე, იმითაც ბედნიერი ვიყავი, ხომ განათლების კოალიცია, ძალიან კომპეტენტური ადამიანები შეიკომბდნენ ნიგვზარის საჯარო სკოლის შესახებ. ბედნიერებაა, ხოგესაც შენს შიმძას დაფასებენ და აღიარებენ, ბედნიერებაა, ხოგესაც შენი სკოლის სახელი მთელი ქვეყნის მასშტაბით გაფიქრდება.

◆◆ ამ კონკურსის ფინალში მონაწილეობა უკვე იმ ადამიანის წინაშე, ვინც ამხელა ნდობა გამოგიცხადა. ეს სტატუსი აჩის უდიდესი მოტივაციური, მთელი ცხოვრება ხომ გაგყვება და მოგცემს ძალას, მეხარჯხედავ ილვანო ლიხეული მომავალი თაობის აღსაზრდელად. თუმცა, ყოველთვის ვაცნობიერებდი, ხომ თუ სკოლის ღირებულებას აპირობებს, უნდა შეეგუო იმას, ხომ შენი

პირადი ყოველთვის მეოხე ადგილზე იქნება, ხადგან ეს საქმე შენგან ყველაფერს მოითხოვს!

◆◆ სკოლის მართვისას ვითვალისწინებ სასკოლო თემის ყველა ხოგის ინტერესებს და საქმიანობებს. განსაკუთრებით წახალისებელია მშობელთა და მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები, თანამშრომლობითი კულტურის დამკვიდრება. პედაგოგებისგან შევქმენი სკოლის ღირებულება გუნდი, რომელსაც გავუზიარე ხედავ, სტიკატური მიზნები. დაჯიხმუნე ისინი, ხომ დაულაღვი შიმძითა და სიხარულებისადმი მედროვი მზაობით ყველაფერს შეცვალა შესაძლებელი. ჩემთვის მნიშვნელოვანია, პედაგოგებმა და მოსწავლეებმა ოპტიმისტურად უყურონ ყველა ცვლილებას, ახადეფი მოერვენოთ მიუღწეველი, ხაც მთავარია, აკონსტიტონ პიროგის, გაუტიბონ

თავიანთ გუმიდელ დღეს, ხათა ხვალისდელი უკეთესი იყო.

◆◆ სკოლაში ფუნქციონირებს 6 კლასი: "ჩხიარედა", "მეოთხევი", "მზის შვილები", "აბიგელუოზა", "თქის სკოლა", "მომავლის ციფრული თაობა", ზოგიერთ კლასში, მოსწავლეებთან ერთად, თემის წარმომადგენელიც ერთიანდებიან. ვცილობ, ხომ სკოლაში, საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებას ერთად, კულტურის ცენტრის მოვალეობაც შეასხელოს. ამ მიზნით, სკოლის სააკო დახაზსა და ბიბლიოთეკაში ხშირად ეწყობა ლონისძიებები. მიზანი ერთი — სოფელში, სადაც მიგაყიის პიროგემა, ახლებობდეს ძლიერი კულტურული-საგანმანათლებლო კუა, ხათა ყველა დახმუნდეს, ხომ მალაღ მთაში ცხოვრება, მალაღ განვითარება და მალაღი კულტურა ერთდროულად შესაძლებელია!



**ლენა გომარტველიძე**  
ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ საჩხერის №2 საჯარო სკოლის დირექტორი

◆◆ ძნელია, მხოლოდ სიყვებით გადმოსცე ის ემოცია, ხაც ფინალისტების დასახელებას ახლდა თან. ეს იყო სიხარულის, გამაჩვენების, დაფასების და მადლიერების გამობატვის წუთები. ამას მოჰყვა უამრავი საკულტურო

ზაჩი და შეკომბინება ჩვენი სკოლის მოსწავლეების, მშობლებისა და კოლეგების მხიდან. ეს ხომ, პირველ ხოგში, მათი გამაჩვენებაა. ჩვენ ყველა ერთად მივდივით ფინალში. აღუწეულია ის ემოცია, ხოცა შენი მოსწავლეები გილოცავენ და მადლობას გუებნიან. ეს ყველაფერზე მეტია.

◆◆ ამ კონკურსს, პირდაპირ ჩემთვის, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. აპირაციის შევსების პიროგისდან დავინყებ – ეს იყო საკმაოდ შიმძატევი და საპასუხისმგებლო. ამით გაკეთე ჩემი მუშაობის ხედეუსია, შევაფასე ჩვენი საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეები; სად ვაჩი ახლდა და საით უნდა მივმართოთ სკოლის ხედავ. კონკურსში მონაწილეობა იყო ჩემი და სასკოლო საზოგადოების ერთობლივი გადაწყვეტილება. ჩვენ თანამშრომლობით მივდივით ფინალში. ეს ნაჩატება თანაბრად ეკუთვნის ჩვენი სკოლის ყველა მასწავლებელს,

მოსწავლეს, მშობელსა და თანამშრომელს. ვთვლით, ხომ ამ ხნის განმავლობაში დაგვიკოვდა ის გამოცდილება, რომელიც ახლდა ყველას უნდა გავუზიაროთ. საზოგადოების შეფასება და აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია. აღიარებასთან ერთად კი, იმატებს პირადი პასუხისმგებლობის ხარისხიც და გიჩნდება სუვილი, აკეთო უფო მეტი შენი მოსწავლეებისთვის.

◆◆ აღბათ, გაჩნდება ერთხვა, ხითი გამორჩევა ჩემი პრაქტიკა – ჩემი პრაქტიკის დევიზად აჩისკოტელს სიყვებებს მოვიშველებ ხოღე: "ჩვენ ვეი შევცვლით ქაჩის მიმართებას, მაგამ ჩვენ შეგვიძლია სწორად მივმართოთ იარქები".

◆◆ სკოლის დირექტორის საქმიანობა მხადამხივი, მხადაფუნქციური, საინტერესო და, შეიძლება ითქვას, ცოცხაზატელიც კი აჩის. სკოლაში აჩ ერთ დღე აჩ გავს ერთმანეთს, ყოველი დღე იწყება ახალი გამონვევით, ხაც

ძალას მმაცებს და მხიღის პიროგისული თვალსაზრისით. ჩემი გუნდის თანადგომით, პრაქტიკის დიდ ნაწილს სასწავლო შინაჩის განვითარებას ვუთმობ. მე ყოველთვის მთავარი აქცენს ადამიანური ხეხისზე ვაკეთებ და ამის მეხე ვისახავ კონკრეტულ მიზნებს. ყოველი წლის ბოლოს, ვაფასებთ შედეგებს და ვთანხმდებით, რომელი მიმართებების განვითარება იქნება სასაჩებლო მოსწავლეებისთვის.

◆◆ ჩემი დირექტორის პიროგში, ჩემს გუნდთან ერთად, აჩაჩი ინიციატივას ჩავუყავით საფუძველი. მნიშვნელოვან ნაჩატებებს მივალნივთ ხოგოჩს ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ჩავთვალეთ, ხომ ახლდა დაგაღო, ხოცა ჩვენი საქმიანობა საზოგადოებას უნდა შეეფასებინა. სწორედ ეს იყო ძლიერი საბაბი, ხომ მონაწილეობა მიმელო სკოლის ღირებულების ეროვნული კონკურსში. შედეგებმაც აჩ დააყოვნა.